წელიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქუჩა, № 4. ტელეფონები:
სარედაქციო—ტელეფონის 14—76. სტამბის—ტელეფონის—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე

პარასკევი, 8 ივლისი 1921 წ.

№ 103 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 103

ახალგაზრდა კომუნისტთა ყრილობა

ს. ა. კ. კ. ც. კ. აუწყებს ს. ა. კ. კ.-რის ყველა ორგანიზაციებს, რომ ა. წ. 20 აგვისტოს მოწვეულ იქნება საქართველოს ა. კ. კ.-რის ყრილობა დღის წესრიგი: 1. მიმდინარე მომენტი. 2. მოხსენება ახალგაზრდათა ინტერნაციონალის 2 ე კონგრესის შესახებ. 3. ც. კ.-ის მოხსენება. 4. საორგანიზაციო აღმშენებლობის მორიგი ამოცანები. 5. სოციალისტურ აღმშენებლობაში მონაწილეობა. 6. რ. ა. კ. კ. მე 4-ე ყრილობა. 7. სასექციო მუშაობა. 8. ც. კ.-ის. არჩევნები.

ს. ა. კ. კ. ც. კ.

კვირას, 10 ივლისს დილის 10 საათზე არტისტიული საზოგადოების საკონცერტო დარბაზში შესდგება შრომის დაცვის კომისიის და საქარხნო კომიტეტების კონფერენცია.

დღის წესრიგი:

1) საავადმყოფო კასის გამგეობის მოხსენება
2) მოხსენება შრომის დაცვის და სოციალური დაზღვევის შესახებ.
3) საავადმყოფო კასის გამგეობის არჩევნები.

ვთხოვთ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ და მანდატები თან იქონიონ

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი

ჩვენს ცილის მწამებლებს.

დღიდან საბჭოთა მართვა გამგეობის ქვეყანათ გაჩენისა, დღიდან კომუნისტური პარტიის რუსეთში გამარჯვებისა ცხოვრებაში ამ პარტიის მხრით ტარდებოდა და ტარდება სხვა მრავალ პრინციპთა შორის ერთი მეტათ საყურადღებო პრინციპი. ეს იყო და არის პრინციპი სიმართლის დაუფარავათ თქმისა.

„ხალხს სიმართლის გაგება სწყურია ნუ დაუფარავთ ამ ხალხს შიშველ სიმართლეს“-ო, მუდამ გვირჩევს ამხ. ლენინი.

და მართლაც ამ პრინციპის გატარებით ისახელა თავი კომუნისტურმა პარტიამ.

ვინ მოთვლის, თუ რა გაჭირვება, რა საშინელება არ განიცადა რუსეთის მშრომელმა ხალხმა ამ სამ-ოთხი წლის განმავლობაში; ვინ იცის, რა და რა საბედისწერო გარემოებაში არ ჩავარდა ის ამ დროს განმავლობაში, მაგრამ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, ისეთი სახიფათო გარემოება, ისეთი ფაქტი რომ პარტიას და მის პრესას ეს დაეფაროს.

ის მუდამ პირდაპირ, დაუფარავად აცნობდა ხალხს „შიშველ სიმართლეს“, ვინაიდან მას სწამდა და სწამს, რომ ეს „შიშველი სიმართლე“ შიშველი ჭეშმარიტების სისხლ ხორცს მხოლოთ მაშინ შეისხამს, როცა მას ხალხი შეიმეცნობს და მის განხორციელებას საკუთარი ძალ ღონით შეუდგება.

ასეთი საბედისწერო დრო ჰქონდა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას, როცა დენიკინი ქ. ტულასაც კი გაშორდა თავისი შავი რაზმებით და წითელ მოსკოვს ამოფხვრას და გაქრობას უქადდა.

ასეთ გარემოებაში ჩავარდა წითელი ჯარი, როცა მან ვარშავის წინ დაიხია და პოლონელთა თავადური ურდოების შემოსევის მოლოდინში რუსეთის მოსაზღვრე მშრომელი ხალხი ვოლგას იქეთ იხიზნებოდა.

ასეთივე დრო უდგას დღესაც სავალალოთ მას, მხოლოთ ახლა ეკონომიურ ფრონტზე: შიმშილობა შარშანდელი მოუსავლობის გამო.

მაგრამ ვინ არ იცის, თუ რა მხნეობით, რა თავდადებით და ერთსულოვნათ გადიტანა რუსეთის მუშათა კლასმა ყველა ეს საბედისწერო მომენტები.

ვინ არ იცის, თუ რა მხნეობით, სულის სიმტკიცით და სოლიდარობით სულდგმულობს ის დღესაც, როცა აგერ ორ თვეზე მეტია მას პური არსაიდან აკლია და არსაიდან კი საშველი თითქო არა სჩანს.

მაგრამ აბა თუ ვინმე გაბედავს და იტყვის რომ საბჭოთა მთავრობამ ეს დაფარა ან კიდევ შესაფერ ზომებს არ ხმარობს ის და მასთან ერთად მთელი მუშათა კლასი კვლავ მხნეთ და ხელაღებით არ ებრძვის ყველა ამ გაჭირვებებს და კვლავ ისეთივე რწმენით არ ანადგურებს თავის კლასობრივ მტრებს.

ჩვენ ყველაფერი ეს მოვიხსენეთ იმიტომ, რომ ნათლათ დავინახოთ ჩვენი, ქართველი ხალხის ამ მხრით სისუსტე, მისი რყევისა და ეჭვიანობის ბუნება.

ჩვენში ხშირათ გაიგონებთ: ბოლშევიკებისაგან მოველოდით შველას და ვხედავთ, რომ უარეს მდგომარეობაში ვარდებითო.

აი ასეთი ჩივილი მხოლოდ სულმოკლეთა, სულწრაფთა და მერყევი ელემენტების საქმეა. აი ამ პოხიერ ნიადაგზე აღმოცენდა ჩვენი შინაური მტრების მიერ უხვად გავრცელებული მრავალი ცრუ ხმები, ინსინუაციები და განზრახ შეთხზული ჭორები.

ჩვენ ამ უსაფუძვლო ჭორებისა და სიცრუის ერთხელ და სამუდამოთ ჩვენი მკითხველთა სფეროდან ამოსაგდებათ დავასახელებთ ერთ მეტათ საყურადღებო ფაქტს საგარეო ფრონტის მდგომარეობიდან.

ამ ბოლო დღეებში ჩვენმა ცილის მწამებლებმა და პოლიტიკური შურით გაქლენთილმა ელემენტებმა ფართო მასებში გაავრცელეს ხმები ვითომ ქემალისტების ჯარი მარცხდება, ვითომ ბერძნები ტრაპიზონის რაიონში ზღვაზედაც და ხმელეთზედაც იმარჯვებენ და ერთი მხრით რომ ყარმს ნავთსადგურებს იკავებენ, მეორე მხრით საქართველოსაც ემუქრებიანო.

ხოლო დღევანდელი რადიო ტრაპიზონიდან უტყუარ ცნობებს გვაძლევს 28 ივნისის თარიღით, რომ უკანასკნელ ბრძოლებში ქემალისტების ჯარებმა ბრწყინვალეთ გაიმარჯვეს, ბერძნები უკუ აქციეს და შავ ზღვაში გადაყარეს. და ამ მარცხის გამო ანატოლიის განაპირა ქალაქებიდან ევროპელი ბურჟუაზია თავქუდ მოგლეჯილი გარბის.

აი როგორია სინამდვილე და „შიშველი სიმართლე“.

მართალია ეს სიმართლე „მწარეა“ მათთვის, ვინც მხოლოთ ჩვენი მტრობით სულდგმულობს და საქართველოდან გადახვეწილ გაქცეულ ჟორდანიაზე ლოცულობს, მაგრამ ჩვენ არც ისეთ სიმართლის გამომჟღავნებას გავურბივართ, რომელიც შეიძლება მხოლოთ ჩვენთვის იყოს „მწარე“ და მეტათ „მწარეც“.

ჩვენ ცელით აღმართულ სიკვდილსაც არ ვუშინდებით და მუდამ თვალებში ჩავცქერით მას, ვინაიდან კარგათ ვიცით, რომ „სიკვდილი მხოლოთ სიკვდილით დაითრგუნება“.

საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთობა

ნაციონალისტურ და ბურჟუაზიულ მთავრობების არსებობამ ამიერ კავკასიის სამ რესპუბლიკებთა სამი წლის განმავლობაში შექმნა აქ არა მარტო უნდობლობა და ეჭვიანობა აქ მცხოვრებ სხვა და სხვა ერებს შორის, არამედ მან დაბადა აქ ნამდვილი ეროვნული მტრობა, შუღლი და მძულვარება. წინანდელი ტრადიციები ძმობისა, ერთობისა და სოლიდარობისა, რასაც ქადაგებდა და რამდენათაც შესაძლებელი იყო ახორციელებდა კიდევაც ცხოვრებაში ძველი სოციალ დემოკრატიული პარტია საქართველოთ, თითქმის დავიწყებულ იქმნენ მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების განუკითხავი ბატონობის დროს როგორც საქართველოში, ისე აზერბაიჯანში და სომხეთშიაც. რამდენათაც მწარე არ იყოს ჩვენთვის თქმა იმის, რომ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პოლიტიკის წარმოებამ განუწყვეტლივ ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში იმდენათ მოწამლა და მოშხამა ჩვენი მუშების გონება, რომ ამის ნიშნები დღესაც ყველასათვის საგრძნობელია. საკმარისია ორიოდე ვაგონი რამე საგნებით გატანილ იქნას საქართველოდან ან რამდენიმე ვაგონი ან ორთქმავალი ვთქვათ ქართული წარწერით აღმოჩნდეს აზერბაიჯანის, სომხეთის ან რუსეთის რკინის გზების სადგურებზე, რომ მაშინვე ჩვენმა მტრებმა, მენშევიკებმა და სხვა შოვინისტებმა, დაყარონ პროვოკაციული ხმები, რომ საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტები ყიდიან და ქურდავენ საქართველოს ავლა-დიდებას, მის სიმდიდრეს, მის ტერიტორიასო. ასეთივე პროვოკაციული ხმები ვრცელდება ალბათ საბჭოთა აზერბეიჯანში და სომხეთშიაც.

რა თქმა უნდა, ისინი, ვინც ასეთ ჭორებს ავრცელებენ, ასეთ საზიზღარ ცილისწამებას ჩადიან, კრინტსაც არ ძრავენ იმის შესახებ, რომ საბჭოთა რუსეთი და აზერბეიჯანი მუქთათ, უსასყიდლოთ თავისი ხორბლით, თავისი პურით, თავისი ნავთით და სხვა საგნებით კვებავენ და ასაზრდოებენ საქართველოს იმ დროს, როცა მენშევიკების მთავრობა საქართველოს სიმდიდრის და ქონების ერთ ნაწილს ანადგურებდა და აფუჭებდა და მეორე ნაწილი კი საქართველოდან გაქონდა უცხოეთში, აი სწორედ ამ დროს საბჭოთა რუსეთი გზავნიდა აქ პურს და საბჭოთა აზერბეიჯანი კი ნავთს მარილს, თევზს და სხვ. და ამ შემთხვევაში არ იყო ლაპარაკი არავითარ ანაზღაურებაზე, არავითარ საფასურზე, ე. ი. რაიმე ეკვივალენტის გადახდაზე. ეს იყო რუსეთის და აზერბეიჯანის მუშების და გლეხების ძმური დახმარება და ხელის გაწვდა საქართველოს მუშებისა და გლეხებისადმი

მართალია, ყველასათვის კარგად ცნობილ მიზეზების გამო, დღეს როგორც რუსეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის, ისე საქართველოს მუშებს და გლეხებს ყველა ეს საჭირო საგნები თავისთვისაც არ ყოფნით; ვინ არ იცის, თუ რა შიმშილს და გაჭირვებას განიცდის რუსეთის და აზერბაიჯანის პროლეტარიატი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მზადაა, უკანასკნელი ნაჭერი პური ძმურად გაუნაწილოს თავის მოძმეთ—საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის მუშებს და გლეხებს. რუსეთის პროლეტარიატი მარტო პურით და სხვა სურსათით არ გვიწევს ჩვენ ძმურ დახმარებას. რუსეთის მუშურ-გლეხურმა მთავრობამ კარგათ უწყის, რომ საჭიროა კიდევ სანოვაგით დახმარება ევროპიდან, მაგრამ ბურჟუაზიული ქვეყნები ხომ მუქთათ არ მოგვაწვდიან ჩვენ საქონელს და არც ჩვენ ბონებზე გაგვიცვლიან. იმათთვის საჭიროა სხვა რაიმე თანასწორი საღირალი ნივთი ან კიდევ ფული ოქრო. მაგრამ ასეთი საგნები ჩვენ ან სრულებით არ მოგვეპოვება (როგორც ოქრო) ან თუ მოგვეპოვება სულ ცოტა. ამიტომ რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება ამ შემთხვევაშიაც გვიწევს ძმურ დახმარებას, ის უყოფს საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის მუშებს და გლეხებს თავის ფონდიდან ოქროს ფულს საზღვარ გარეთელ ვაჭრებისგან საქონლის შესაძენათ.

ამავე დროს საბჭოთა აზერბაიჯანი გარდა ნავთის მუქთათ დათმობისა როგორც შინ, ისე საზღვარ გარეთ ბაზარზე გამოსაყენებლათ საქართველოს მუშებს და გლეხებს უთმობს სრულიად უსასყიდლოთ თავის ტერიტორიაზე მდიდარ სათევზო ადგილებს სრულ განკარგულებაში.

ყველა იმათ, ვინც ყვირის იმაზე, რომ კომუნისტები ყიდიან და ქურდავენ საქართველოს ხალხს, ჩვენ ვთხოვთ დაგვისახელონ თუნდაც ერთი ასეთი მაგალითი მენშევიკურ დაშნაკ-მუსავატების სახელმწიფოების ისტორიიდან. განა აშკარა არაა, რომ არაფერს ამის მსგავს იმ დროს ადგილი არ ქონდა და არც შეიძლებოდა რომ ქონებოდა. დეე იცოდენ ეს მუშებმა და გლეხებმა, დეე შეიგნონ იმათ ამ ფაქტების მნიშვნელობა და ფასი! მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ჩვენ დავსძლიოთ და ამოვფხვრათ ის შოვინისტური სულისკვეთება მუშათა კლასის ზოგიერთ ნაწილებში, რომელიც ნაციონალისტურმა ინტელიგენციამ მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების სახით დასთესს მასაში. ამ ვაჟბატონების პროვოკაციას, ცილის წამებას და სიცრუეს ჩვენ დავუპირდაპირებთ ნამდვილ ფაქტებს ურთიერთი ძმური დახმარებისას, სოლიდარობისას და ერთობისას ქართველ, აზერბეიჯანელ, სომეხ და რუს მუშებსა და გლეხებს შორის. ამ გზით ჩვენ მოვკლავთ ნაციონალიზმს და დავამყარებთ ნამდვილ ჭეშმარიტ ინტერნაციონალიზმს

ფ. მახარაძე.

საბჭ. საქართველოში

გრუზკავროსტას დეპეშები.

თბილისის მაზრაში.

სამაზრო რევკომის თავმჯდომარე ამხ. მგელაძესთან საუბრიდან.

რევკომების ყრილობა.

ახლო მომავალში განზრახულია მაზრის ყველა რევკომების ყრილობა, რომელზედაც მოსმენილ იქნება საქართველოს რევკომის თავმჯდომარის მოხსენება საბჭოთა პოლიტიკაზე საქართველოში, სასურსათო საკითხის შესახებ სამაზრო რევკომების ყველა განყოფილების გამგეთა მოხსენებანი.

მანგლისის განძეულობა.

მანგლისიდან დაბრუნდა კომისია, დაარსებული სამაზრო რევკომის მიერ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის მონაწილეობით, მანგლისში მენშევიკების მიერ დატოვებულ ძვირფას ქონების ვერცხლის და სხვათა მასალებით განძეულობა, რომელიც აღმოჩნდა ორ ფუთზე მეტი, ჩამოიტანეს თბილისს, და ჩააბარეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

მანგლისის რევკომის რევიზია.

მანგლისიდან დაბრუნდა აგრეთვე მეორე კომისია, დაარსებული სამაზრო რევკომის მიერ მუშა-გლეხური ინსპექციის წარმომადგენლის მონაწილეობით. კომისიამ რევიზია გაუკეთა რევკომს და აღნიშნა რა ყველა ნივთი, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია გამოცვლა ზოგიერთი წევრისა.

სახალხო სასამართლოები.

მარტყოფს, ყარაიაზს, სართიჭალასა და საგარეჯოში დანიშნულნი არიან და უკვე საქმეების გარჩევას შეუდგნენ სახალხო სასამართლოების ნაფიცი მოსამართლეები.

კომუნალური მეურნეობა მაზრაში.

სამაზრო რევკომი დიდ ყურადღებას აქცევს კომუნალურ მეურნეობის განვითარებას. რაიონებში გახსნეს საბჭოთა სახელოსნოები. საგარეჯოში გახსნეს აბანოები. აბანოს გახსნას მოელიან კოჯორშიაც, სადაც აქამდე არას დროს არ ყოფილა აბანო.

ელექტრონითი განათება.

ასურეთის რაიონის გერმანელმა კომუნისტებმა განაცხადეს, რომ თუ მათთან გაიყვანენ ელექტრონის განათებას, ისინი იკისრებენ მის გაყვანისა და ექსპლოატაციის მთელ ხარჯს, თანაც ყველა ხარჯს გადაიხდიან პროდუქტებით. ამის შესახებ სამაზრო რევკომმა აღძრა საკითხი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წინაშე.

ფოსტის მიმოსვლა.

მოწყობილია ფოსტის მიმოსვლა თბილისს მანგლისს და თბილისს-ალბულახს შუა კვირაში ორჯერ. სამწუხაროთ, გზები ამ მხარეს ისეთ მდგომარეობაშია, რომ თუ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო არ მიიღებს ზომებს შესაკეთებლად, როგორც ამ პუნქტებში, ისე ბორჩალოს მაზრაში მიმოსვლა თბილისიდან შესწყდება.

კავშირი რაიონებთან.

სამაზრო რევკომმა მუდმივ კავშირის დასამყარებლად რაიონებთან დაადგინა რიგი, რომლის თანახმად განყოფილებათა ყველა გამგეები შაბათობით ცალკ-ცალკე მიდიან სხვა და სხვა რაიონებში, სადაც კვირას აწყობენ მიტინგებს. აკეთებენ მოხსენებებს, უწევენ ინსტრუქტორობას და სხვ.

მანგლისს, კოჯორსა და ახბულახში გახსნეს საბჭოთა სახლები მოსულ მუშაკებისათვის.

ხეხილის ბაღები.

მაზრაში მრავალი ხეხილის ბაღია, მიტოვებული მათი პატრონების მიერ: სამაზრო რევკომის ასეთ ბაღებს იჯარით აძლევს კერძო პირებს, იმ პირობით, რომ მოსავლის მესამედი სახელმწიფოს ჩააბარონ.

წისქვილები.

ასურეთში, ბარათაშვილის მიტოვებულ მამულში არის დიდი წისქვილი, რომლის რიგზე მოწყობა მოითხოვდა აურებელ ხარჯს, მილიარდზე მეტს. სამაზრო რევკომი მოურიგდა ადგილობრივ გლეხებს, რომლებმაც წისქვილით 1 იანვრამდე სარგებლობის უფლებისათვის თითონ შეაკეთეს წისქვილი, ხმარობენ მას და შემოსულ ხორბლის ერთს მეოთხედს აძლევენ სახელმწიფოს.

ბრძოლა მავნე მწერებთან.

მარტყოფის რაიონში ებრძვიან გაჩენილ პურის ჭიბოვანოს, რომელიც სპობს ყანებს. დიღომში აღმოაჩინეს კალიის კვალი, რომლის გაჩენა, თუ სათანადო ზომები არ იქნება მიღებული უბედურებას უქადის როგორც მთელ თბილისის მაზრას, ისე მეზობელ მაზრებს.

საქონლის მოარულ სენთან ბრძოლა.

მაზრის ბევრ რაიონებში საგარეჯოს, მარტყოფს, დიღმის და სხვა ძლიერ მოდებულია საქონლის გადამდები სენი, რომელიც უქადის მთელს მაზრას უსაქონლოთ დარჩენას. მასთან ბრძოლა ძნელდება, რადგანაც დიდი ნაკლებობაა სამეითლო პერსონალის, რომელიც ვერ აწარმოებს ერთი რაიონიდან მეორე რაიონში გადასვლას და აგრეთვე ის, რომ არ მოიპოვება კანქეში შესაშხაპუნებელი წამლები. სამაზრო რევკომმა შუამდგომლობა აღძრა, რათა ტაბახმელაში განახლდეს შრატის დამზადება და საზოგადოთ სანიტარულ ხელისუფლებმა მიაქციონ ყურადღება საქონლის ეპიდემიასთან ბრძოლას.

მოსავლის პირი.

მაზრაში მოსულ წვიმების გამო ყანები ცოტაოდენათ გამოკეთდა და საერთოდ მოსავალი, გარდა ყარაიაზის რაიონისა, შეიძლება ჩაითვალოს საშუალოდ.

კოოპერატიულ ორგანიზაციათა უფლებანი საგარეო ვაჭრობის სფეროში.

საგარეო ვაჭრობის კავშირმა შემდეგი მიმართვა გაუგზავნა საქართველოს ს. ს. რ. რევკომს, პირი აზერბაიჯანის ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს და სომხეთის ს. ს. რ. რევკომიტეტს.

„საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის კავშირის კოლეგიის სხდომაზე 24 ივნისიდან ირჩეოდა საკითხი კოოპერატიულ ორგანიზაციათა უფლებების შესახებ საგარეო ვაჭრობის დარგში. კავშირის კოლეგიამ ფრიად სასურველად აღიარა, მიეცეს კოოპერატიულ ორგანიზაციებს უფლება ნედლეულობის ფონდის შეკრებისა თავთავიანთ რესპუბლიკების შიგნით, ამ ფონდის რეალიზაციისათვის საზღვარ-გარეთის ბაზარზე დასახელებულ რესპუბლიკათა გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის საშუალებით.

კავშირის კოლეგიას საჭიროთ მიაჩნია, რომ როგორც კოოპერატიულ ორგანიზაციების მიერ შეგროვებული ნედლი მასალის ფონდი, აგრეთვე ის საქონელი, რომელიც შეიძლება შესყიდულ იქნას უცხოეთის ბაზარზე კოოპერატიულ ორგანიზაციების ჩვენებით, უნდა შედგენდეს მათ სრულ საკუთრებას და უნდა იყოს მათ სრულ განკარგულებაში. ვიღებთ რა მხედველობაში იმ შეხედულებას, რომელიც დამყარდა კოოპერატიულ ორგანიზაციების შესახებ არა მხოლოდ ჩვენ რესპუბლიკაში, სადაც კერძო ვაჭრობა არსებითად არ არის აკრძალული, არამედ ისეთ საბჭოთა რესპუბლიკაშიც კი, როგორც არის რ. ს. ფ. ს. რ. სადაც კერძო ვაჭრობა სრულიად იყო გაუქმებული, გაერთიანებული საგარეო ვაჭრობა ითვლიდა აუცილებლათ, სთხოვს საქართველოს ს. ს. რ., რევოლუციონურ კომიტეტს, აზერბაიჯანის ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს და სომხეთის ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტს, გამოცემულ იქნეს ისეთი საკანონმდებლო აქტი, რომლის ძალითაც კოოპერატიულ ორგანიზაციების ზემოაღნიშნული უფლებები საგარეო ვაჭრობის სფეროში უნდა იყოს სათანადო წესით აღიარებული და ამ ნაირად შეიქმნას სტიმული და სრული გარანტია იმისა, რომ არ ჩამოერთმევათ გამზადებული ნედლი მასალა და საექსპორტო ფონდი.

კომინტერნის მე-3 კონგრესი.

ამხ. ზინოვიევის მოხსენება.

რაში გამოიხატებოდა კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტის მუშაობა.

მოსკოვი, 27 ივნისი (რადიო). აღმასრულებელ კომიტეტმა გამოიმუშავა ყველა დებულებანი და დასახა მოქმედების ტაქტიკა მე-2 კონგრესის დადგენილებათა ასასრულებლად. აღმასრულებელმა კომიტეტმა ერთგვარი დამოკიდებულება დაამყარა ეგრედ წოდებულ მიმდინარეობებთან. ზოგიერთი ინგლისელი ამხანაგები წინააღმდეგი იყვნენ ინგლისურ მუშათა პარტიის მოზიდვისა, მიუხედავად ამისა, აღმკომი დაბეჯითებით აღნიშნავდა ამ პარტიაში შეჭრის აუცილებლობას. მომენტის ძირითადი მოთხოვნილება მდგომარეობს მასსებთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარებაში; განსაკუთრებით ეს ეხება ინგლისს და ამერიკას, სადაც კომუნისტური პარტიები ჯერ კიდევ სუსტია, მაგრამ მასსები საკმაოდ გარევოლიუციონერებული. ეს მჭიდრო კავშირი დაგვეხმარება ჩვენ ბრძოლა ვაწარმოოთ იმ ოპორტიუნისტულ და ცენტრისტულ ელემენტებთან, რომელნიც შემოიპარნენ ჩვენს პარტიაში, პროლეტარულ მოძრაობის შეფერხების მიზნით. საჭიროა ყველა ეს გაუგებრობანი შეუბრალებლად იქნეს მხილებული, მოვსწყვიტოთ მათგან მასსები, გავფანტოთ სოციალ-პატრიოტების მიერ შთაგონებული ილიუზიები.

იტალიური საკითხი.

აღმ. კომიტეტისათვის დიდ სიძნელეს წარმოადგენდა არა იმდენად გერმანული, რამდენად იტალიური საკითხი. როდესაც იტალიელი დელეგატები მოვიდნენ მეორე კონგრესზე, ჩვენ მათ არ ვიცნობდით და მეგობრულად მივიღეთ, მაგრამ უკვე მეორე კონგრესზე სერატი ოთხჯერ გამოვიდა მნიშვნელოვან პრინციპიალურ საკითხების გამო. და ყოველჯერ ან წინააღმდეგ ილაშქრებოდა, ან თავს იკავებდა. შემდგომმა გარემოებებმა დაგვანახეს სერატის და სერატისტების ნამდვილი სახე. ჩვენს მიერ ოთხ ენაზე დაბეჭდილია წიგნი, რომელიც ამხელს სერატის მისივე სტატიების და რეზოლიუციების მიხედვით. თავისი დამღუპველი მოღვაწეობა სერატიმ დაიწყო მაშინათვე კონგრესის შემდეგ; იგი პირდაპირ ტალახში სვრიდა მეორე კონგრესის როგორც გადაწყვეტილებას, ისე მუშაობის მიმდინარეობას. როდესაც ყველა ამ სადაო საკითხებში იტალიელმა სოციალისტებმა მხარი დაუჭირეს მოსკოვის პირობებს, სერატი დაემუქრა წასვლით და ჩვენმა არა საკმაოდ მტკიცე ამხანაგებმა დააჯერეს იგი დარჩენილიყო. მეორე დღეს სერატიმ ისევ დაიწყო თავისი კამპანია კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტის წინააღმდეგ. სერატის დამახასიათებელი თვისებაა—არ გასცეს კითხვებზე პირდაპირი პასუხი, არამედ თავი მოუყაროს წვრილმან მეორე ხარისხოვან დეტალებს და დამახინჯებათ. დამახასიათებელია სერატის პასუხი ამხ. ლენინის კითხვაზე რეფორმისტების გამორიცხვის შესახებ. სერატიმ ამაზე უპასუხა კითხვით: ვინ არიან რეფორმისტები? სერატი აცხადებს, რომ პროლეტარიატის დიქტატურა სავალდებულო პროლეტარული მოთხოვნა კი არაა, არამედ დროებითი ხასიათის ზომა, რომლის აუცილებლობა დამოკიდებულია განსაკუთრებულ პირობებზე. სერატი არ ეთანხმება რუსული სახის საბჭოთა სისტემას, მაგრამ მას ხომ ხელს არავინ უშლის შექმნას იტალიანური საბჭოთა სისტემა. სერატის მოღვაწეობის შედეგი ის იყო, რომ მან ხელიდან გაუშვა მეტად მნიშვნელოვანი მომენტი, როდესაც გაფიცვების ტალღა მოედო მთელს იტალიას, როდესაც იტალიელი ბურჟუაზია საბოლოოდ შერყეული იყო. სერატის გამყიდავმა პარტიამ ნება მისცა იტალიურ მთავრობას ცხოვრებაში გაეტარებინა ტერორის ის გაუგონარი პოლიტიკა, რომლის მოწმენი ჩვენ ყველანი ვართ. ლივორნოს კონგრესზე სერატის პოლიტიკამ თავისი ორმაგობით განხეთქილებამდი მიგვიყვანა. ჩვენ რო დაგვეთმო სერატისათვის, მაშინ კომუნისტური ინტერნაციონალი, როგორც რევოლიუციონური ორგანიზაცია, ახლა ვერც იარსებებდა. თამაშობდა რო იმ დათმობებზე, რომელიც ჩვენ დაუშვით ფრანგ ამხანაგების მიმართ, სერატი პროვოკაციულად მოითხოვდა ასეთივე დამოკიდებულებას იტალიისადმი. აღმასრულებელ კომიტეტის მოვალეობა იყო თითეული პარტია შეეფარდებინა. კონკრეტულ პირობებთან, მუშათა მოძრაობის ისტორიასთან და რევოლიუციონური პროლეტარიატის სიმწიფის ხარისხთან შეფარდებით.

ვერც ერთი ჭეშმარიტი კომუნისტი ვერ შეურიგდება იმას, რომ თუ ფრანგული პარტია ჩამორჩენილია, მაშინ იტალიურმა პარტიამაც უკან დაიწიოს. სერატის მთელი უზრდელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ამტყუნებს საბჭოთა მთავრობას უცხოეთის ბურჟუაზიასთან დამოკიდებულების დაჭერაში, ივიწყებს, რომ საბჭოთა მთავრობა ამ ურთიერთობას ამყარებს მხოლოდ იმიტომ, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა კლასსი ჯერ კიდევ სუსტია. ეგრედვე ცუდად უდგება სერატი გერმანელ დამოუკიდებელთა ნახევარის გადასვლას კომუნისტებისაკენ მას სურს დაარწმუნოს იტალიელი მუშები, რომ გერმანელი მუშები ხელმძღვანელობდნენ რაღაცა ნაციონალური მოსაზრებებით. იტალიის პარლამენტის უკანასკნელ არჩევნების შემდეგ სერატი აშკარად აცხადებს, რომ პარტიის გეზი მარჯვნივ უნდა იქნეს გადახრილი. თვით ლენინმაო, ამბობს. იგი, გადასწყვიტა კონცესიების გაცემაო არგუმენტაცია სერატის შესაფერისი. იმ დროს, როდესაც რუსეთში ძალაუფლება პროლეტარიატის ხელშია, ხოლო სხვა ქვეყნებში ეს ასე არ არის,—დათმობებზე ლაპარაკი ასეთ გარემოებაში მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ბურჟუაზიას შეგნებულად უჭერთ მხარს და ვეხმარებით მას პროლეტარიატის დახრჩობაში. საჭირო არ არის კიდევ ილიუზიები. საჭიროა ყველას წინაშე ვამხილოთ სერატის პოლიტიკა და რაც უფრო ჩქარა ვიზამთ ამას მით უფრო ადრე მივიმხრობთ იტალიის მუშათა კლასს. ჩვენ უნდა გავხდეთ უფრო უნდობელნი.

მეორე კონგრესის შემდეგ იტალიაში იფეთქა მძლავრმა რევოლიუციონურმა მოძრაობამ, რომელმაც მიიღო თავისებური ფორმები ფაბრიკების და მამულების დაკავებისა და საბჭოთა ორგანოების წარმოშობისა.

სერატის პარტიამ ყველაფერი მოიმოქმედა, რომ ეს მოძრაობა ჩაეშალა და ღონე მიხდილი პროლეტარიატი გამარჯვებულ ბურჟუაზიის ფეხქვეშ განერთხია. სერატის პარტია იქცა ორდინალურ, საძაგელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიად. მაგრამ მუშები ჩვენს მხარეზეა, და კონგრესმა უნდა მიმართოს იტალიის მუშებს ახსნა-განმარტებით სერატის მთელი გამყიდავი პოლიტიკისა, შესახებ, რომელიც ატყუილებს პროლეტარიატს და აქრობს რევოლიუციონურ სულს. ამხ. ზინოვიევი მიუთითებს, რომ იგი ასე დიდ ხანს შეჩერდა იტალიურ საკითხზე, რადგან სერატის ისტორია არის ნიმუში ყველა ცენტრისტულ მოძრაობისა. ჩვენ უნდა ვსთქვათ—კმარა ფრაზები: ჩვენი მტრები—ეს მარჯვენა და ცენტრისტული ელემენტებია, მათთან უნდა ვაწარმოოთ დაუხლოვებელი ბრძოლა.

გერმანული საკითხი.

გალეში ჩვენ გვქონდა პირველი გამარჯვება; დავაშორეთ ერთმანეთს პარტიები სოციალისტების, რეფორმისტების და დამოუკიდებელთა, შევქმენით მასიური კომუნისტური პარტია, რომელშიაც შევიდა გერმანულ კომუნისტური პარტიის ასი ათასი წევრი და ოთხასი ათასი დამოუკიდებელთა. გერმანელ პროლეტარიატის მარტის უკანასკნელ გამოსვლაზე გაკეთებული იქნება ცალკე მოხსენება. ცხადია, ამ მოძრაობის დროს ბევრი შეცდომები იყო ჩადენილი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვქონდა მოძრაობასთან, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ნახევარი მილიონი მუშა. ეს არ ყოფილა დემოკრატიული აფეთქება, ეს იყო გერმანელ მუშების აუცილებელი თავდაცვითი ბრძოლა. ჩვენ მას უყურებით, როგორც სწორედ ასეთს, ვინაიდან ეს მოძრაობა იყო წინ გადადგმული ნაბიჯი. გერმანულ კომუნისტურ მუშათა პარტიის შესახებ, რომელიც არ შევიდა გაერთიანებულ კომუნისტურ პარტიაში,—აღმასრულებელი კომიტეტი ფიქრობს, რომ თუ ახლო დროში არ მოხდა ეს გაერთიანება, იგი იძულებული იქნება, გავიდეს კომუნისტური ინტერნაციონალიდან. ლევის ცნობილ სკანდალურ წიგნაკზე ამხ. ზინოვიევმა განაცხადა, რომ მაზე ლაპარაკი არ ღირს. ლევი გამორიცხულია კომინტერნიდან, და კონგრესმა ეს დაადასტურა.

ფრანგული საკითხი.

ახასიათებს რა კომინტერნის დამოკიდებულებას ფრანგ სოციალისტურ პარტიისადმი, ამხ. ზინოვიევი ამბობს, რომ გადაწყვეტილი იყო მისი მიღება, მიღებულია მხედველობაში მისი მდგომარეობის თავისებურებანი. გასაწევი იყო ანგარიში იმ გარემოებისათვის, რომ ფრანგულ პარტიას კომინტერნში მისი შესვლის დროს არ ჰქონდა მოხდენილი პირველი განხეთქილება, აგრეთვე მისაღები იყო მხედველობაში კომუნისტური ჯგუფების არა მრავალრიცხოვანობა მაშინ, აგრეთვე ის, რომ მეთაურთა უმრავლესობა ისხდნენ ციხეებში. ლონგეს შესახებ ამხ. ზინოვიევი მოგვითხრობს, რომ ლონგეს წაყენებული ჰქონდა კითხვა, იღებს თუ არა იგი მოსკოვის 11 პირობას. ლონგემ, რასაკვირველია, ეს პირობები არ მიიღო და პარტიამაც იგი გამორიცხა. ჩვენ თითქო დავდევით ფრანგ [illegible] ამხანაგებთან იდუმალი შეთანხმება. ჩვენ მათ მივეცით რამოდენიმე თვე გადაჯგუფებისა და საორგანიზაციო მუშაობის დასაყენებლად. საფრანგეთში განვითარება მიდის წინ, ამიტომაც აღმასრულებელი კომიტეტი ფრანგული პარტიის მიმართ იჩენს სიფრთხილეს და მოთმენილობას. მაგრამ ეს არ ნიშნავს, კონგრესმა არ მიუთითოს, რომ ფრანგულ კომუნისტურ პარტიას საფრთხე მოელის ოპორტიუნისტულ ელემენტებისაგან. ჩვენ მაინც ნდობით ვუცქერით ფრანგულ პარტიას, რომელიც ითვლის ასი ათას წევრს.

რა ხდება სხვა ქვეყნებში?

ჩეხო-სლოვაკეთში ჩვენ გვყავს მასიური, საუკეთესო პროლეტარულ მასალიდან შემდგარი პარტია. იმედი გვაქვს, რომ ცენტრიზმის ტენდენციები დაძლეულ იქნება ჩეხო-სლოვაკელ კომუნისტების მიერ, გადაჯგუფების პროცესი შეეხო აგრეთვე სკანდინავიის ქვეყნებს. ნორვეგიაში ჩვენ გვყავს მძლავრი და ჯანსაღი პარტია. შვეციის კომუნისტები გზას იკაფავენ ცენტრიზმიდან კომუნიზმისაკენ (გამოტოვებულია). ბელგიას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, სადაც მოძრაობა ეყრდნობა უმთავრესად პროფკავშირებს, რომლებშიაც ახლა შეიჭრენ კომუნისტები. შვეიცარია განიცდის მძლავრ მოძრაობას. ჩვენ მოგვეპოვება კარგი ძლიერი პარტია რუმინიაში. სამხრეთ-სლავეთში უკვე მოხდა ცენტრის განხეთქილება. ფინლიანდიაში კომუნისტური მოძრაობა არალეგალურ მდგომარეობაშია, მაგრამ მიუხედავად არსებული თეთრი ტერორისა, იგი ფართოვდება და ღრმავდება. იაპონიაში პროლეტარიატის მოძრაობა ისეთვე მდგომარეობაშია, როგორც 1905 წ. იქვე, შორეულ აღმოსავლეთში შემდგარა მრავალი პროფკავშ., გაჩაღებულია საგამომცემლო მუშაობა. არ არის თითქმის არც ერთი ქვეყანა, სადაც არ ქონდეს ადგილი განხეთქილების და გაერთიანების პროცესს. ესალმება რა საერთაშორისო პროფკავშირების და კომუნისტური ახალგაზრდობის მომავალ ყრილობებს, ამხ. ზინოვიევი ათავებს მოხსენებას აღნიშვნით, რომ ბრძოლა ამსტერდამთან შეადგენს ყურადღების ცენტრს, ხოლო პროფკავშირების საკითხი არის მთავარი საკითხი. მთელი კონგრესის ტაშის ქვეშ ამხ. ზინოვიევი მოუწოდებს: მძლავრ სექციების და ძლიერ ცენტრის, ბურჟუაზიასთან ბრძოლისათვის რკინისებური დისციპლინის შექმნისაკენ.

2½ ინტერნაციონალის დაარსება.

(გაგრძელება იხ. „კომ." № 100).

IV 2½ ინტერნაციონალის მანიფესტი და პრინციპები.

ბერნის მანიფესტი 1920 წ. დეკემბრის 10 თარიღით, რომლითაც 2½ ინტერნაციონალის მამამთავრები მიმართავენ მთელი ქვეყნის სოციალისტურ პარტიებს შესანიშნავია არა მარტო იმით, რაზედაცაა იქ ლაპარაკი, არამედ იმითაც რის შესახებ არაფერია ნათქვამი. მსოფლიო კონიუკტურის მიმდინარე პირობებში თუ პროლეტარულ პარტიას აარსებენ, ინტერნაციონალურ კავშირის დაარსებას რომ თავი დავანებოთ, მაშინ პირველი საკითხი რომლის შესახებაც ნათლად და გარკვევით უნდა გამოითქვას აზრი ესაა მსოფლიოს მდგომარეობის საკითხი. აქ იგულისხმება არა მარტო იმპერიალიზმის, ან იმპერიალისტთა ერთი ჯგუფის დაბალ საფეხურზე დგომის შესახებ მსჯელობა, არამედ უნდა გარკვევით გადაწყვეტილად ითქვას იმყოფებით თუ არა მსოფლიო რევოლიუციის განვითარების ხანაში. შეიძლება მთელი სისასტიკით დავგმოთ იმპერიალიზმი, შეიძლება სავსებით გავიზიაროთ კომუნისტურ ინტერნაციონალის პრინციპიალური შეხედულებანი იმპერიალიზმის პოლიტიკის შესახებ მაგრამ მიუხედავად ამისა, შეიძლება სავსებით სხვა პოლიტიკა დავიკავოთ იმპერიალიზმისადმი თუ კი მსჯელობის დროს კომუნისტურ ინტერნაციონალის პოზიციას დავცილდებით: ჩვენ ამ ჟამად მსოფლიო რევოლიუციის პროცესში ვიმყოფებით თუ იმპერიალისტურ სახელმწიფოების სისტემის გამაგრებისა? პირველ შემთხვევაში პროლეტარულ პარტიის პოლიტიკა იქეთ იქნება მიმართული რომ მასიური გამოსვლებით დაამხოს კაპიტალისტური სახელმწიფო. ამ გამოსვლების მოსამზადებლად უნდა გამოყენებულ იქნას ისტორიისაგან გამოცემული ყველა პოლიტიკური და ორგანიზაციული საშუალებანი. მეორე შემთხვევაში უნდა შეგნებულად მოვერიდოთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს მთავრობასთან შეტაკებას და მიზნად უნდა დავისახოთ პროლეტარიატის შეკავშირება კაპიტალიზმის ჩარჩოებში მისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ამ შემთხვევაში საბოლოო სოციალისტური მიზანი უნდა ემსახურებოდეს პროლეტარიატის გზის განათებას და უნდა აკავებდეს მას რეფორმიზმის გზაზე შედგომაში.

2½ ინტერნაციონალის მანიფესტი ცდილობს ამ გადამწყვეტ საკითხს გვერდი აუაროს. ერთი სიტყვაც კი არაა იქ ნათქვამი მსოფლიო რევოლიუციაზე. იქაა ლაპარაკი რუსეთ სა და საშუალო ევროპის რევოლიუციებზე, ლაპარაკი ამ რევოლიუციების მოსალოდნელ საფრთხეზე მსოფლიო რეაქციაზე და ისეთ ფაქტებზე რომლის წინააღმდეგაც ენას ვერ დასძრავს კაპიტალიზმის ვერც ერთი პოლიტიკური მოღვაწე, ვინაიდან ამ ფაქტების უარყოფა სულელს თუ შეუძლია. მაგრამ მხოლოდ იმ სა როგორც ლოიდ-ჯორჯი სრულიად აშკარად ლაპარაკობს გერმანიისა და რუსეთის რევოლიუციაზე და სიფრთხილეს იჩენს მსოფლიოს პროლეტარულ რევოლიუციაზე ლაპარაკში (ეს ერთი იმიტომ რომ [illegible] მინისტრობა ხელს უშლის ფაქტებს პირდაპირ შეხედოს და მეორე იმიტომ რომ მდგომარეობის აშკარა გარკვევით მებრძოლ კლასებისა და მათი პოლიტიკური თვალთახედვის ძირის გარკვევასო) ისე 2½ ინტერნაციონალის პარტიებს საც ეშინიანთ მსოფლიო მდგომარეობის შესახებ თავის აზრის გამოთქმისა. ამათ ეშინიანთ ასეთი აზრის აშკარათ გამოთქმისა, თუმცა ბევრი მათგანი კი ფიქრობს თავის გულში დროებით, რამდენადაც გამონაკლისშებულია, კაპიტალისტური საზოგადოება დაღუპვისაგან გადარჩენილია და ამიტომ თავი უნდა დაანებოთ ყოველგვარ რევოლიუციონურ ილიუზიებს." ვერ გადაუწყვეტიათ სთქვან ყოველივე ეს ვინაიდან ეშინიათ ვაი თუ რევოლიუციონური პროლეტარიატი მოგვწყდესო. ისინი ვერ გაბედავენ სთქვან რომ მსოფლიო რევოლიუცია ვითარდება, თუმცა ვითარდება არა ისე სწრაფი ტემპით როგორც ეს ბევრს სურს, მაგრამ მისი საბოლოო გამარჯვების გარანტიას იძლევა კაპიტალისტურ მეურნეობის დეზორგანიზაციის გაძლიერება. ეს რომ სთქვან მაშინ მათ მოუწევთ ყოველ სახელმწიფოში, მიუხედავად თვითოეულ ამ სახელმწიფოში კაპიტალიზმის გახრწნის სხვა და სხვა ფაზისა გასწიონ პროპაგანდა და აგიტაცია პროლეტარიატის წინაშე რევოლიუციონურ ბრძოლის აუცილებლობისა და საჭიროებაზე. ამიტომაც აქ ისინი თავისი ჭეშმარიტ მსოფლ. მხედველობის გამოთქმას გაურბიან და ასეთ ფრაზებს მიმართავენ: „ეს კაპიტალისტური სისტემა თანდათან შეუგუებელი ხდება პროლეტარულ მასების ეკონომიურ და სოციალურ მოთხოვნილებებსთან ან, თუნდაც გამარჯვებულ სახელმწიფოებშიაც კი". ეს ფრაზა არაფერს არ ამბობს ვინაიდან იმპერიალიზმი პროლეტარიატის სასიცოცხლო მოთხოვნილებებთან ყოველთვის შეუგუებელი იყო და ცხადია ეს შეუგუებლობა დროთა სვლაში კიდევ უფრო გაიზრდება და გამოჩნდებოდა.

2 ნახევარ ინტერნაციონალის სახელმძღვანელო თეზისები, რომელიც თებერვლის 22 ინსბრუკში ამ ინტერნაციონალის კონგრესის მოწვევამ კომისიამ (ადლერი, გრიმი, ლედებური, უოლხედი) შეადგინა, საკითხს მსოფლიო რევოლიუცია თუ კაპიტალისტური მეურნეობა გვერდს უვლის. ჩვენებურ ამ ფაქტის აღნიშვნაზე 2 ნახევარ ინტერნაციონალის ბელადები ჰილფერდინგ-ბაუერ მარტოვები გვეტყვიან: მხოლოდ კომუნისტურ დაბრმავებას შეუძლია უარყოს რომ მსოფლიო მდგომარეობის პერიოდში რევოლიუციონური და კონტრ-რევოლიუციონური ძალები ერთმანეთს გადაებმიან და კაპიტალიზმის გახრწნის მიმდინარეობის პროცესის გვერდით იმოქმედებს ამ კაპიტალიზმის ძლიერების აღმდგენელი ძალაო. ისტორიული თვალსაზრისით უნდა ვუფრთხილდეთ იმის წინასწარმეტყველებას თუ ამ ტენდენციებში რომელი გაიმარჯვებს. თუ ზემოდ დასახელებული სწავლული [illegible] მიმართავენ ამგვარ არგუმენტაციას—იმიტომ რომ სხვა გამოსავალი იმათ არა აქვთ მაშინ უნდა ვუპასუხოთ: საქმე ისტორიულ შესაძლებლობის უარყოფა არაა, კომუნისტური ინტერნაციონალი სრულებითაც არაა დაბრმავებული და მას კარგად ესმის რომ თუ იმ სახელმწიფოებში, სადაც კაპიტალიზმი ჯერ კიდევ არაა შერყეული არ მოხდა მსხვილი ხასიათის რევოლიუციონური მოძრაობა და ან თუ ეს რევოლიუციონური მოძრაობა დამარცხდა მაშინ არის შესაძლებლობა კაპიტალისტური რესტავრაციის მოხდენისა. იმ სიტყვაში, რომლითაც გაიხსნა კომუნისტურ ინტერნაციონალის კონგრესი, ლენინმა სთქვა: გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, თუ ინტერნაციონალურმა პროლეტარიატმა ვერ შემოიკრიბა საკმაო ძალა ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობად, მაშინ ბურჟუაზია ამა თუ იმ გზით მოიპოვებს საშუალებას კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობილების აღსადგენათ მილიონ პროლეტარულ მასების დამონებით. მარქსისტ რევოლიუციონერ ლენინსა და ჰილფერდინგ-ბაუერის მზგავს ოპორტიუნისტის შორის განსხვავება იმაში კი არაა, რომ ისინი შესაძლებლობას უწევენ ანგარიშს, არამედ აზრის გამოტანასა და დასკვნებშია. რევოლიუციონერი ლენინი ეუბნება პროლეტარიატს: მსოფლიო რევოლიუცია [illegible] ვითარდება, ის საზრდოობს გაძლიერების პროცესში მყოფ რევოლიუციონურათ ნაკადებით, მაგრამ ამასთანავე მოქმედობს ინერციისა და კონტრ-რევოლიუციის ძალებიც. თუ თქვენ შემოიკრებთ საკმაო ძალას და არ აღიჭურვებით გაბედულებით ბრძოლისა და გამარჯვებისათვის მაშინ დამარცხდებით. ამიტომაც თქვენ უწოდებთ ენერგიით უნდა მოაგროვოთ და აამოქმედოთ რევოლიუციის ყოველი ძალა. რომ ამ რევოლიუციას გამარჯვების საშუალება ექნეს. ლენინი განვითარების პროცესში მყოფ მსოფლიო რევოლიუციის პერსპექტივას თავის ტაქტიკის გამოსავალ წერტილათ ხდის და გვიჩვენებს თუ კონკრეტულად როგორი მოქმედებაა საჭირო მსოფლიო რევოლიუციის განხორციელებლათ. ოპორტიუნისტებს კი, რომლებიც მსოფლიო რევოლიუციაზე ფიქრებით თამაშობენ, თავის გულში ეჭვებათ ის და რომ მახლობელ ნაბიჯების გადადგმას თავი დააღწიონ და იმას დაუცადონ თუ რას იტყვის ისტორია, მომავალს გამოუცნობელს, გაურკვეველს სტოვებენ. თავის სულის სიღრმეში კი ამოკვნესით ამოიძახებენ ხოლმე: „ღმერთო აამცდინე ეს ბედი". მაგრამ თავის საკუთარ მომხრეების შიშით ის ვერ ბედავს გარკვევით და აშკარათ სთქვას კაპიტალიზმის აღდგენის სასარგებლო აზრი, როგორც ამას ამბობენ რეფორმისტები, რომელნიც აშკარად კონტრრევოლიუციის პერსპექტივას ეყრდნობიან.

ისტორიის გულკეთილება არ მიდის იქამდი, რომ პოლიტიკურ მოღვაწეს მისცეს უფლება—აბსოლუტური [illegible] პერსპექტივა. [illegible] ამჟამათ მიმდინარე ეპოქში [illegible] პოლიტიკური მოღვაწე უნდა ცდილობდეს [illegible] ძალებს შორის და [illegible] კლასის [illegible] კომუნისტურ ინტერნაციონალის [illegible] რევოლიუციონურ პერსპექტივას [illegible] კონტრრევოლიუციონერ [illegible] ვინაიდან 2 ნახ. ინტერნაციონალი [illegible] ჩვენ ვიცით რომ 2 ნახ. ინტერნაციონალის პარტიების პრაქტიკულ მოღვაწეობამ და ბერნის მანიფესტი [illegible] საკითხის შესახებ.

კ. რადეკი.

(შემდეგი იქნება).

საზღვარ გარეთ

გრუზროსტას დეპეშები.

ანტანტის პოლიტიკა.

ნაუენი. 26 ივლისის (რადიო). რუსეთის ყოფილ საელჩოს მდივანმა ზიბერტმა გამოაქვეყნა დიპლომატიური საბუთები, რომლებიც ახასიათებენ ანტანტის პოლიტიკას ომამდე. ამ საბუთებში მოყვანილია ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ სამხედრო შეთანხმების არსებობას ინგლისს, საფრანგეთს და რუსეთს შორის შეერთებულ მოქმედების შესახებ ომის შემთხვევაში. ზიბერტს სხვათა შორის მოჰყავს საგარეო საქმეთა მინისტრის გრაფ ბენკენდორფის ბრძანება 1914 წლ. მაისის 15-ის მსოფლიო ომისა, თუმცა ანტანტა დაჟინებით უარჰყოფს ამას. საბუთები გვიჩვენებენ თუ როგორ მუშაობდნენ მოკავშირეთა დიპლომატები და ჰხატავდენ დიპლომატიურ კულისთა სურათებს 5 წლის განმავლობაში ომის დაწყებამდე. ეს საბუთები ადასტურებენ, რომ მოკავშირეთა რწმუნება, ვითომცდა ომი გამოიწვია,—გერმანიამ სრული სიცრუეა.

ზემო-სილეზიაში.

ლიონი. 26 ივნისი, (რადიო), ფიქრობენ, რომ გერმანიის პრეზიდენტი მალე გამოაქვეყნებს ბრძანებას გერმანულ თავდაცვითი ორგანიზაციების დაუყოვნებელ დათხოვის შესახებ. გენერალმა ჰენეკერმა წინადადება მისცა გენ. ჰოფერს, რომ იგი დაუყოვნებლივ შეუდგეს ზემო სილეზიის საევაკუაციო გეგმის ასრულებას. მოკავშირეთა კომისია ამ ჟამათ უთვალყურებს გერმანიის საზღვაო და ხმელეთის სიმაგრეებს, რათა გამოარკვიოს, მიეცა თუ არა გერმანიას დაპირებულ ნორმაზე მეტი მასალები.

ქრონიკა

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა რევიზია. შინაგან საქმეთა კომისარიატთან მოწყობილია საუწყებათაშორისო კომისია ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოების სარევიზიოდ. ეს კომისია დაყოფილია წვრილ კომისიებათ, რომელნიც თბილისის და ქუთაისის გუბერნიაში მოახდენენ რევიზიას. კომისია აცხადებს ყველა დაინტერესებულ პირთა დ დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომ მიღება და განხილვა ყოველგვარი საჩივრისა ადგილობრივ ხელისუფლების მოქმედების შესახებ მისგან გაირჩევა ადგილობრივ ცენტრებში.

ქალაქის ახალი ფარგლების კომ. მეურნეობის სამიწათმოქმედო ქვედა განყოფილებამ აღძრა შუამდგომლობა, რომ დაუყოვნებლივ გატარებულ იქნეს ცხოვრებაში ქალაქის ყოფილი საბჭოს დადგენილება ქ. თბილისში საქალაქო მიწების გაფართოების შესახებ 5 ვერსამდე რადიუსად ქალაქის ძველი საზღვრებიდან. ასეთი გაფართოების წყალობით ქალაქის მიწათ მფლობელობას მიემატება 19 ათასი დესეტინა მიწა. ქალაქის ახალ ფარგლებში შევა 17 სხვა და სხვა სექტორები და რამდენიმე სოფლები (მათ რიცხვში ტაბახმელაც) რამოდენიმე სოფლები შევლენ ქალაქის ახალ მიწების შემადგენლობაში მხოლოდ ნაწილობრივად.

ორთქლის აბანო. ქალ. რევკომის მიერ წინადადება მიეცა ყველა ორთქლის აბანოთა მესაკუთრეთ ქ. თბილისში, რომ ერთი კვირის განმავლობაში შეაკეთონ აბანოები და განაახლონ მათი მოქმედება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან ერთად აღძრულია შუამდგომლობა, რომ მიეცეს ამ აბანოებს საჭირო სათბობი მასალა 200 ფუთამდე დღეში.

◆ **საზეითალო საქმე.** ეპიზოოტიკურ სენის წინააღმდეგ შრატის შესამზადებლად წინადადებაა მიცემული დაარსდეს ქ. თბილისში ბაქტერიოლოგიური სადგური, რომლისათვის გამოთხოვილია საჭირო თანხა.

— ყოფილი საზოგადოება ცხოველთა ფარველობისა გადავიდა ს. სამიწ. კომიტეტის საზეითალო სანიტარულ განყოფილების გამგებლობაში.

◆ **ს. ფაშალიშვილის საღამო.** ხუთშაბათს ივლისის 14 ქართული კლუბის საზაფხულო დარბაზში გაიმართება ს. ფაშალიშვილის სალიტერატურო-სამუსიკო საღამო, რომელშიაც ქართველ პოეტების და ლიტერატორთა გარდა მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო ოპერისა და დრამის საუკეთესო ძალები და აგრეთვე სომხეთა გამოჩენილი მწერალი ოვანეს თუმანიანი.

◆ **წყალსადენის გაჯანსაღება.** ავჭალაში იმ ტერიტორიის დასათვალიერებლად, რომელიც უჭირავს ავჭალის სადგურის ქალაქის წყალსადენს, გაემგზავრა სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიან ჯანმრთელობის კომისარიატიდან ექ. კიკალეიშვილი, გამგე თფილისის ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებისა ექ. ვაწაძე. თფილისის კომუნალურ მეურნეობის კოლეგიის წევრი მაჭარაძე და დირექტორი ქალაქის წყალსადენისა ინჟინერი დიასამიძე. კომისიას დასახული აქვს მთელი წყება ზომების მიღება იმ მიზნით, რომ დაიფარონ სიბინძურისგან თფილისში მისაღები წყალი. ამ ზომებთა რიცხვში აღსანიშნავია სრულ უფლებიანი კომისიის მოწოდება, რათა მოახდინონ სრული გაწმენდა ტერიტორიისა, რომელიც უჭირავს ზემო და ქვემო ავჭალას და გლდანს.

◆ **თეატრალური საქმე პროვინციაში.** შორაპნის მაზრის თეატრალური საქმეთა ინსტრუქტორ-ორგანიზატორმა გრ. მაჭავარიანმა დასაბუთებული მოხსენებანი წარუდგინა სანახაობითი ნაწილის უფროს ზესტაფონისა, შორაპნისა, ხარაგოულისა, ძირულისა, ლაშისა, კიცხისა და სხვა თეატრების შესახებ. როგორც მოხსენებიდან სჩანს, პროვინციაში სასცენო საქმეს დიდი წარმატება ეტყობა, როგორც სოფლის, ისე დაბა ქალაქების მშრომელი მასა წარმოდგენებს ბლომით ესწრება, მთავრდება სათეატრო შენობები ზესტაფონში (საზაფხულო) შორაპანში და ხარაგოულში, მაგრამ შენობების დამთავრების საქმეს აბრკოლებს უსახსრობა, ამისთვის ინსტრუქტორი შუამდგომლობს რათა გადაიდვას ზესტაფონის თეატრის დასამთავრებლად 2 ნახევარი მილიონი, შორაპნის თეატრისათვის 9,770,000 მ., ხოლო ხარაგოულის თეატრის დასამთავრებლად 6.000.000 მანეთი. ხარაგოულის თეატრს შემოსწირეს: ჭიათურის რევკომის თავმჯდომარემ 1.000,000 მილიონი. გიორგი მაცაბერიძემ 150 000 მ. და ხარაგოულის რევკომმა 50,000 მან.

მკითხველის წერილები

სარწყავი არხი და შრომის ბეგარა.

ამას წინათ „კომუნისტში" მოთავსებულ წერილში გამოთქმული იყო აზრი შრომის ბეგრის შემოღების აუცილებლობაზე იმ აუარებელ მუქთახორათათვის, რომლებიც დაგვიტოვა სარჩით თვითმპყრობელობამ, ომმა და „საშვალო სქესის" დემოკრატიულმა მთავრობამ.

ამ წერილში ჩვენ გვინდა მიუთითოთ ერთ განსაზღვრულ საგანზე, სადაც შესაძლებელია ასეთი ბეგარის ცხოვრებაში ადვილათ გატარება, მისს საჭიროებაზე და იმ სარგებლობაზე, რაც იქნება მოტანილი მისი განხორციელებით.

ამ დღეებში მომიხდა თბილისიდან გაგამგზავრება მცხეთისაკენ. გზა და გზა ვხვდებოდი გლეხებს, რომლებიც პურს მკიდენ, ან ბალახს სთიბავდენ. მოსავლის ვარგისობა უვარგისობის შესახებ ლაპარაკის დროს გამოირკვა, რომ მთელი ეს მხარე მოკლებულია მორწყვას, რითაც მოსავლის სიკეთე მცირდება ერთი ხუთად და ერთი-ათად.

იქვე მიმითითეს გლეხებმა ერთ ადგილზე და ამიხსნეს, რომ ძველად ამ ადგილას გადიოდა არხი, არაგვიდან გამოყვანილი, რომელიც რწყავდა მთელ მხარეს და ანოყიერებდა მას.

მართლაც, რომ დავუკვირდი, ცხადათ გავარჩიე ზოლი, გაყოლებული გორაკის კალთებზე, რომელიც უტყუარად მოწმობს იმას, რომ აქ ერთ დროს იყო გაყვანილი არხი, რომელიც ამოვსო დროთა განმავლობაში, მაგრამ მისი კვალი აქა იქ კიდევ დარჩენილა.

თავისთავათ იბადება კითხვა,—თუ კი ჩვენი წინაპრები, როდესაც მათ თოხისა და ნიჩბის მეტი არაფერი ეპყრათ ხელში მიწის დასამუშავებლათ, ახერხებდენ ასეთი მნიშვნელოვანი სარწყავი არხის გაყვანას და მით თბილისის არე მარის აყვავებას, ჩვენ რაღა „ღმერთი გაგვიწყრა", რომ შევჩერებივართ ზეცას და ველით, როდის გაწვიმდება?

„ისა სჯობს მამულისათვის, რომ შვილი სჯობდეს მამასო" — ნათქვამია. ჩვენ კი ჯობნების მაგიერ უკან ჩამორჩენაში ვეჯიბრებით ამ საქმეში მათ.

წინეთ, ძველ დროში ერთ ან რამდენიმე სოფელზე მოდიოდა ანგარიშით ერთი ბატონი მისი ამალით. დღეს კი თითო მუშაკზე თითო მუქთახორა უსათუოდ მოდის, თუ მეტი არა. არ იქნა და ვერ მოხერხდა ამ აუარებელი მუქთახორების თავიდან მოშორება. თუმცა მუდამ გაიძახით: „ვინც არ შრომობს—ნურც სჭამსო". სინამდვილეში კი გამოდის, რომ სწორეთ ის სჭამს,—და კარგათ მადიანათაც,—ვინც არ შრომობს! დღემდის ეს მოვლენა ადვილი ასახსნელი იყო, მაგრამ დღეს, როდესაც ძალა-უფლება იმყოფება მშრომელი ხალხის ხელში, ყოვლად შეუწყნარებელია, რომ მუქთახორობას მიეცეს ადგილი.

თბილისი მენშევიკების მთავრობის დროს თავშესაფარი იყო რუსეთიდან გამოქცეულ კონტრრევოლიუციონერებისა და მყუდრო ცხოვრების მაძიებელ ბურჟუაზიის. საბჭოთა მთავრობის აღდგენით კონტრ რევოლიუციონერები მიიფანტ მოიფანტნენ, მაგრამ ბურჟუაზიის დიდი ნაწილი დარჩა და წვრილი ვაჭრობის დატოვებით ფართე ასპარეზი მოიპოვა სპეკულიატური მოქმედებისთვის.

დაფანტულ კონტრ რევოლიუციონერების მაგიერ კი გაჩნდენ ერთი ჯურის ხალხი, რომლებიც ჩვენში პოულობენ თავშესაფარს და რომლებიც ფაქტიურათ იგივე კონტრ რევოლიუციონერებათ და სპეკულიანტებათ გამხდარან. ეს ის ხალხია, რომლებსაც საბჭოთა რუსეთში ან მახლობელ რესპუბლიკებში რაიმე ცოდვა მიუძღვით, იქ დარჩენა მათთვის სახიფათო გამხდარა და ამიტომ აქ ამოფარებიან სხვა და სხვა შემთხვევით მიღებულ მანდატებს. ასეთი ელემენტები მეტათ გახშირდენ ჩვენში და ადგილობრივ ჩეკას დიდი სიფხიზლე მართებს მათ მიმართ. თუ კი მოხერხებულათ იქნება ბადე გადასროლილი, ბლომათ მოჰყვება შიგ თევზები. და აი ასეთი თევზებისთვის არის აუცილებლათ საჭირო არაგვიდან ოდესღაც გამოყვანილი სარწყავი არხის აღდგენა: მათთვის საცურავათ კი არა, არამედ ოფლში საწურავათ! ამ საქმის მოწყობა არც ისე ძნელია. ის არ უნდა გადიდვას „როდინობის კვირისთვის", არამედ ეხლავე უნდა იქნეს დაწყებული და დამთავრებული.

ამნაირათ ერთი ხელით ორი ყურდღელი იქნება დაჭერილი, რაც იშვიათი შემთხვევაა: დიდათ მნიშვნელოვანი არხი გაკეთდება და მავნე მუქთახორულ ელემენტს საქმეს გაუჩენთ და თავიდან მოვიშორებთ.

ამას თუ დავუმატებთ კიდევ იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტი უმაღლეს სამეურნეო საბჭოსთან გადადგამს პირველ პრაქტიკულ ნაბიჯს ამ არხის გაყვანის დაწყებით,—მაშინ ხომ ორი კი არა სამი ყურდღელი იქნება დაჭერილი ცალი ხელით, რაც პირველი მაგალითი იქნება ისტორიაში...

ს. თ—ია.

პარტიული ცხოვრება.

ყუმისის პარტიული იაჩეიკის კრება.

(თბილისის მაზრა)

ჩვენ მივედით სოფ. ყუმისში 13 ივნისს, საღამოს რვა საათზე. მაზრის რევკომის თავმჯდომარემ ამხ ი. მგელაძემ მისვლისთანავე სთხოვა, ჩვენ პარტიულ ამხანაგ სიმონ მაისურაძეს, მოეწვია პარტიის წევრთა კრება. ამხ. სიმონ მაშინვე დატრიალდა. საათის ათზედ ამხანაგებმა უკვე თავი მოიყარეს. ყუმისელ ამხანაგებს ჯერ-ჯერობით არ ჰქონიათ დაარსებული ადგილობრივი პარტიული ბიურო და არც შესაფერისი ბინა ამისთვის, ამიტომ კრებას თავის მოყრა მოუხდა ერთ პატარა ოთახში. თავისებური მშვენიერება ჰქონდა ამ საჩქაროდ შეკრებილ პარტიულ კრებას. ის კონსპირატიულ კრებას უფრო წააგავდა, ვიდრე თავისუფალ სახელმწიფოში—თავისუფალ მოქალაქეთა ყრილობას. ოთახი იმდენად პატარა იყო, რომ 50 თავმოყრილი ამხანაგი ძლივ თავსდებოდა, ამიტომ ზოგმა ტახტზედ მოიკეცა და უმეტესი ნაწილი კი იძულებული იყო მამაპაპურად იატაკზედ ჩაკეცილიყო.

ამხ. ი. მგელაძე კრებას გახსნილად აცხადებს და წინადადებას იძლევა, რომ თავმჯდომარე იქმნას არჩეული. თავმჯდომარედ იქმნა არჩეული თბილისის მაზრის კომიტეტის წევრი ამხ. ალ. ტიგიშვილი.

თავმჯდომარის არჩევის შემდეგ ამხ. ი. მგელაძე იღებს სიტყვას და გაბრაზებული სახით მიმართავს კრებას კითხვით—პარტიულია ეს კრება—თუ საერთოდ ყრილობაა? პარტიულია, პარტიული—იძახის ხმები.

თუ პარტიულია, მაშინ აი იმ პირებს, რა ადგილი აქვთ აქ იძახის ამხ. მგელაძე და მიუთითებს რამდენიმე იქ მყოფზედ. ამ პირების პარტიაში ყოფნა, პარტიულ კრებაზედ დასწრება ყოვლად დაუშვებელია, ასეთ ელემენტებს ადგილი ჰქონდათ და აქვთ—ამბობს ამხ. მგელაძე, მენშევიკების და სხვა პარტიებში და არასოდეს კომუნისტურ პარტიაში. ჩვენი პარტია მშრომელ გლეხთა და მუშათა პარტიაა, იგი სპეტაკია და ასეთივე იყვნენ მისი მიმდევრნი.

ამიტომ, ამბობს ამხ. ი. მგელაძე, სანამ მოხსენებას შევუდგებოდეთ, კრება უნდა დასტოვონ აი ამ პირებმა და თითით უჩვენებს მათზედ. აღნიშნული პირების არა საიმედობას ამხ. ერზიკიანცაც ადასტურებს.

პატარა ჩოჩქოლის შემდეგ ამხ. ი. მგელაძემ მიმართა კრებას შემდეგი სიტყვებით: ჩვენ პარტიას დიდი ისტორია აქვს. 1903 წელს მოხდა პარტიული ყრილობა, სადაც ჩამოყალიბდა ძველ სოციალ დემოკრატიულ პარტიის მაგიერ ორი მიმართულება, ერთის სათავეში ჩაუდგა ამხ. ლენინი და მეორეს, მენშევიკურ მიმართულებას, მარტოვი და პლეხანოვი. ლენინი იძახდა, როდესაც მოხდება რუსეთის რევოლიუცია და პროლეტარიატი გაიმარჯვებს, მაშინ მან მთელი ძალა-უფლება ხელში უნდა აიღოს—თვის დიქტატურა გამოაცხადოს და არავითარი მოლაპარაკება და შეთანხმების პოლიტიკა არ უნდა აწარმოვოსო. ეს შეხედულება, ეს ტაქტიკა, წითელი ხაზით გასდევს მთელ ჩვენ რევოლიუციონურ მოძრაობას და შემოქმედებას.

სულ სხვა ტაქტიკას და შეხედულებას დაადგნენ მენშევიკები. მათ თავიდანვე აიღეს გეზი—გეზი ბურჟუაზიასთან შეთანხმებისა და ამ გეზისთვის დღესაც არ უღალატნიათ. ასეთ გზას ადგა ყოფ. მენშევიკების მთავრობა, რომელიც ვითომდა ერთის მხრივ სოციალისტობდა და მეორე მხრივ ევროპის ბურჟუაზიასთან ძმურათ, ხელჩაკიდებული მიდიოდა, ევროპის ვითომდა სოციალისტებთან ვანდერველდესთან და სხვებთან ძმა ბიჭურ სადღეგრძელოებს სვამდა. ბევრი ბრძოლა დასჭირდა კომუნისტურ პარტიას, მანამ ბოლოს მოუღებდა ამ ღალატთა პარტიას, მაგრამ ბოლოს მაინც, როგორც ხედავთ, მან გაიმარჯვა და მაღლა მაღლა ააფრიალა უწიკვლო წითელი დროშა. კომუნისტებმა ერთის დაკვრით, ერთის გამოძახილით მოსპეს ბურჟუაზიული ომი და ყველას გასაგონათ სთქვეს: ჩვენ არ გვინდა ომი, დაგვანებეთ თავიო. მაგრამ თავი არავინ არ დაანება და გუშინდელი მოკავშირენი ინგლისი და სხვები—დღეს მტრად გადაექცნენ. რაკი საქმეს მოტრიალდა, რაკი მუშათა და გლეხთა დიადი საქმე განსაცდელში ჩავარდა, ჩვენმა პარტიამ გადისროლა მედგარი, გაბედული ლოზუნგი: რუსეთის მშრომელო ხალხო, თქვენი საერთო განთავისუფლების საქმე განსაცდელშია, ახლა ჩვენი დევიზი ერთია—ყველამ თოფს მოკიდეთ ხელი; ითქვა და შესრულდა. თვითმპყრობელობისგან გახრწნილი არმიის მაგიერ შესდგა დიდებული, სპეტაკი და ძლევამოსილი წითელი არმია, რომელიც ახლა, როგორც ხედავთ, ანთებული ცეცხლია, რომელმაც უნდა შთანთქას რაც ქვეყანაზე ბოროტებაა დამყარებული. ამ არმიამ ერთი დაკვრით მოსპო რუსეთის „პომეშჩიკთა" და ბურჟუაზიის ბუნაგი და მთელი ძალა უფლება გადასცა მუშებს და გლეხებს. ეს არ მოეწონა ევროპის ბურჟუაზიას და როგორც ზევითაც ვთქვით, რუსეთს ომი გამოუცხადა. აქ ამხ. მგელაძემ ამხანაგებს უამბო მთელი ისტორია რუსეთის სამოქალაქო ომისა. ჩვენ, განაგრძობს ამხ. მგელაძე, არამც თუ მოვსპეთ ძველი და დახავსებული რუსეთი, არამედ მოვკუნცხეთ გველის ხვრელში გამაძღარი ევროპის ბურჟუაზიაც. იგი იძულებული გახდა ომზე ხელი აეღო. ჩვენ ეს არ ვიკმარეთ და ჩვენი „მომწამვლავი" ლოზუნგი ყველგან გადავისროლეთ—არ არის ქვეყანა, რომ კომუნისტური პარტიები არ არსებობდენ. რა არის ეს, რა ძალაა ეს, რომელმაც ამდენი საქმის გაკეთება შესძლო? ეს ძალა ამხანაგებო კომუნისტური პარტიაა. იგია ძლევა მძლე და აი ამ კომუნისტურ პარტიას ეკუთვნით თქვენ. თქვენ უნდა ამაყობდეთ ამით, თქვენ უნდა ღირსეულად გეჭიროთ თავი. მაგრამ საკმარისი არ არის დაარქვათ ჩვენ თავს კომუნისტები, საჭიროა ვიცოდეთ და კარგათ ვიცოდეთ ამ პარტიის პროგრამა. რა კომუნისტი ხარ შენ თუ არ იცი რას თხოულობს შენი პარტია, რის გაკეთებას აპირებს იგი? ამიტომ მე გთხოვთ, მე მოვითხოვ თქვენგან, რომ ყოველი თქვენი თავისუფალი დრო ამ პროგრამის შესწავლას მოანდომოთ. მაგრამ, რომ პროგრამა შეისწავლო, რომ გაეცნო შენი პარტიის შეხედულებას ამა თუ იმ საკითხებზე, საჭიროა იცოდე წერა-კითხვა, აი ეს ამხანაგი,—უჩვენა ამხანაგმა მგელაძემ—ამხ. გურგენიძეზე, მაზრის სახალხო განათლების განყოფილების გამგე, ეს ამის შესახებ შემდეგ ყველაფერს დაწვრილებით გეტყვისთ; მე კი ჩემის მხრივ მოვითხოვ, რომ კვირაში ორი საღამო გადასდოთ ამ საქმისთვის. ამხ. გურგენიძე გამოგზავნის აქ მასწავლებელს და აი ეს მასწავლებელი კვირაში ორჯერ გასწავლისთ წერა კითხვას. მე იმედი მაქვს რომ თქვენ მალე ისწავლით კითხვას და მალე შესძლებთ გაზეთის და პატარა წიგნების წაკითხვას. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, არ არის საკმარისი, რომ თქვენ კითხვა ისწავლოთ და პროგრამა შეისწავლოთ, ამას გარდა საჭიროა და დიდათ საჭირო შეიგნოთ, შეითვისოთ პარტიული დისციპლინა. დისციპლინა—ეს მაგარი ჯაჭვია, რომლითაც მჭიდროვათ წყობათ შემოჭრილ-შეკრულია პარტია. დისციპლინა ჩვენ პარტიაში უმწვერვალეს წერტილამდის არის ჩვენი პარტია უძლეველი. თქვენც სწორეთ ამისთანა დისციპლინას უნდა შეჩვიოთ. პარტიამ სთქვა—იგი შენთვის შეურყეველი კანონია! პარტიამ მოითხოვა—იგი თქვენთვის შეურყეველი ბრძანებაა და თქვენ როგორც ერთმა კაცმა ის სისრულეში უნდა მოიყვანოთ. ერთი უბრალო მაგალითი და მე ამაზე ლაპარაკს გავათავებ. წარმოიდგინეთ თქვენ ასეთი სურათი—თქვენ პარტიის დავალებით ძალიან საშურ და საჭირო საქმეზედ მიდიხართ, გაიარეთ თქვენი სახლის წინ და დაინახეთ, რომ მას ეკიდება; თქვენ ერთ წამსაც არ უნდა გაგიაროთ თავში იმ აზრმა, რომ პარტიულ დავალებას თავი დაანებოთ და ცეცხლში გახვეულ თქვენ სახლს მიხედოთ. თქვენ ძთლად დარწმუნებული უნდა იყოთ იმაში, რომ ამაზედ სხვა თქვენი ამხანაგები იზრუნებენ, თქვენ უნდა განაგრძოთ თქვენი გზა და შეასრულოთ ის, რაც პარტიამ დაგავალათ—აი პარტიული დისციპლინა, აი ამას მოითხოვს თქვენგან პარტია. არის დისციპლინა—სუფევს პარტიაც. არ არის დისციპლინა—ისპობა პარტიაც. აი ეს ორი უმთავრესი საქმე, რომელსაც თქვენ უნდა მიაქციოთ ყურადღება, მაგრამ ჯერ არ გვითქვამს ის რაც დღეს ძარღვია ჩვენის მოვლენობის დღევანდელ ხანაში.

ეს ჩვენი ქონებრივი ეკონომიური მდგომარეობაა. თუ ჩვენ ამ მხრივ ბევრი არ გავაკეთეთ—დავიღუპებით. ჩვენი ნივთიერი მდგომარეობა—ეს პირდაღებული ვეშაპია, რომელიც მზათაა გადაგვყლაპოს თუ ამას ნებას მივცემთ. რვა წლის ომმა ჩვენ მეურნეობას ბოლო მოუღო. მიწა დაუმუშავებელი დარჩა, რადგან მუშა ხელი ომში იყო ჩათრეული. ქარხნებში სადაც მშვიდობიანობის დროს მაღული ირთოდა, ჩითი იქსოვებოდა, ომის დროს თოფ-იარაღი და ტყვია წამალი მზადდებოდა. მოკლედ რომ ვსთქვათ, ყველა და ყველაფერი ომისათვის ამუშავდა, აი ასეთი სურათის წინაშე ვდგევართ ჩვენ ამ ჟამად. ჩვენი პირველი მოვალეობა და სიკვდილ სიცოცხლის საკითხია გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან. როგორ უნდა გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან? აი საკითხი, რომელზედაც მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო და რომელიც მე მინდა თქვენ გაგიშუქოთ. ძველი კაპიტალისტურ ბურჟუაზიული წარმოება, ძველი „პომეშჩიკური" სასოფლო მეურნეობა დამყარებული იყო კონკურენცია—ქიშპობაზედ და რამდენადაც ეს ასეთი იყო, იმდენათ იგი უსისტემო და ერთი მეორის მოსპობ განმანადგურებელი იყო. იმდენათ იგი ქმნიდა მას, რაც მასვე სპობდა. ეს არის უდიდესი ნაკლი ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ წარმოებისა. ეს არის შექმნა თავისივე ჯალათისა. სულ სხვაა ის წარმოება, რომელიც უნდა განვითარდეს ახლა, კომუნისტურ სახელმწიფოში. აქ ნასახიც არაა ქიშპობა-კონკურენციისა; აქ ერთმანეთს არავინ ეჯიბრება. აქ საქონელი მზადდება წინადვე სახელმწიფოს მაშტაბით გამომუშავებულ გეგმით და აქ წარმოუდგენელია ის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში სამრეწველო კრიზისები, რომელიც აუცილებელი სენია და განმანადგურებელი კაცობრიობის ერთი ნაწილისა. აი სწორეთ ასეთ სენს მოკლებულია წარმოება კომუნისტურ სახელმწიფოსი და აი თავდები ჩვენი გამარჯვებისა. ჩვენ უნდა ავამუშაოთ ამ ახალ ნიადაგზე ჩვენი ფაბრიკები და ქარხნები, ჩვენ უნდა დავხნათ ყველა ის ადგილები, სადაც კი შეიძლება. დაუხნავი არ უნდა დაგვრჩეს ერთი ხელის გულის ოდენა ადგილიც კი.

მე ვათავებ ამხანაგებო ჩემ სიტყვას და მოკლედ მოგაგონებთ თუ რა არის ჩვენთვის საჭირო: პარტიულ-პოლიტიკური განვითარება აყვავება: აი ეს ოთხი რამ არის ჩვენთვის საჭირო და ამ ოთხ რამეში არის ჩვენი ხსნა. ამხ. მგელაძის სიტყვა მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვეს. ბევრ კითხვათა შორის, ყუმისელ ამხანაგების მიერ დასმულ იქნა შემდეგი კითხვები: ვინ არის ნამდვილი მშრომელი და როგორი შრომის კაცს შეუძლია პარტიაში შესვლა. ამ კითხვაზე დაწვრილებით პასუხი მისცა ამხ. გურგენიძემ. ამხ. გურგენიძის წინადადებით, ყუმისელმა ამხანაგებმა გადასწყვიტეს შეადგინონ ორი ჯგუფი წერა კითხვის შესასწავლად, რის შემდეგაც ამხ. გურგენიძე დაპირდა რამდენიმე დღის განმავლობაში გაუგზავნოს მათ მასწავლებელი. კრების ბოლოს არჩეულ იქნა პარტიული ბიურო, რომელშიდაც შევიდენ შემდეგი ამხანაგები: 1) სიმონ მაისურაძე, 2) სანდრო გურასპოვი და 3) ლუკა შავთიძე. მათ კანდიდატებათ ამორჩეულ იქნა ვასო სუქიასოვი. აღნიშნულ ამხანაგებს ევალებათ: იაჩეიკის გაწმენდა, ხელმძღვანელობა და თფილისის მაზრის კომპარტიის კომიტეტთან კავშირის დაჭერა. ამას შემდეგ იაჩეიკის სამხედრო ვარჯიშობის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა ამხ. არდაშელოვი. ამასთანავე კრებამ დაადგინა ყოველ შაბათობით მოიწვიოს თფილისიდან ლექტორი, რომელიც წაუკითხავს იაჩეიკის წევრებს ლექციებს სხვადასხვა პარტიულ საკითხებზე.

ხტეფანე.

ბრძოლა ეპიდემიასთან

ხოლერის მსვლელობა თბილისში.

2 ივლისის 9 საათიდან 3 ივლისის 9 საათამდე ავათ გახდა ხოლერით 12 კაცი, აქედან გარდაიცვალა 1.

27 ივნისს მიღებული ავათმყოფთაგანი გარდაიცვალა 1. 1-ლ ივლისს 2.

გაეწერა უკეთესობით

23 ივნისს მიღებული ავათმყოფი—1, 27 ივნისს—1.

უბანი.

1 უბ.—1, 2 უბ.—0, 3 უბ.—1, 4 უბ. —0, 5 უბ.—0, 6 უბ.—0, 7 უბ.—1, 8 უბ.—3, 9 უბ.—0, 10 უბ. 0, 11 უბ. —1, 12 უბ.—0, 13 გამოურკვეველი 5.

ხელობა.

მკერავი—1,—8,3 პროც. წითელი არმიელი—4,—33,4 პროც. უსაქმო—1,—8,3 პროც. ვაჭარი—1,—3,3 პროც. სანიტარი—1,—8,3 პროც. გამოურკვეველი—4,—33,4 პროც.

წლოვანობა

1—10 წლ.—1, 11—20 წლ.—3, 21-25 წლ.—3, 26—30 წლ.—2, 41—50 წლ.—2 51 60 წლ.—1,

სადაურია.

თბილისელი 8,—66,7 პროც. თბილისის გარეთ 2,—16,7 პროც. მეზობელი რესპ. 1,—8,3 პროც. გამოურკვეველი 1. —8,3 პროც

დასკვნა.

ამ დღის განმავლობაში ავათ გახდა სულ 12 კაცი. გარდაიცვალა 1,—8,3 პროც. ცენტრალურ უბნებში გახდნენ ავათ 4,—33,3 პროც. განაპირა უბნებში 3,—25 პროც. გამოურკვეველია 5,—41 7 პროც.

ხოლერის მსვლელობა თბილისში.

ივლისის 3 დილის 9 საათიდან ივლისის 4 დილის 9 საათამდე ავათ გახდა ხოლერით 13 კაცი. ამათგან გარდაიცვალა 3 ივლისს 3 კაცი. წინეთ ნაჩვენები საეჭვოებიდან ვიბრიონები აღმოაჩნდა: 1 ლ ივლისს მიღებულ ავათმყოფთაგან 2 კაცს, 28 ივლისს 1 კაცს.

წინეთ ნაჩვენები საეჭვოებიდან ვიბრიონები არ აღმოაჩნდა ავათმყოფ მიღებულს ივნისის 17—1 კაცი. 20—1, 23—3, 24—1, 25—1, 27—1, 29—1, 30—1,

განაწილება უბნებზე:

1 უბანში—0, 2 უბ.—0 3 უბ.—2—15,4 პროც. 4 უბ—0, 5 უბ.—0, 6 უბ.—1—7,7 პროც. 7 უბ.—0 8 უბ.—0, 9 უბ. —2,—15,4 პროც. 10 უბ.—0, 11 უბ.— 0, 12 უბ.—0, 13 უბ.—0, 14 უბ.—0, გამოურკვეველი—8,—61,5 პროც.

კატეგორია საერთო ავათმყოფთა.

კვალიფიციური მუშა—0 შავი მუშა —0, მოსამსახურე 0, წითელი არმიელი—8,—61,5 პროც. დიასახლისი—1, —7,7 პროც. უსაქმო—3,—23,1 პროც. მწერალი—1,—7,7 პროც.

სადაურია ხოლერით ავათმყოფი.

თბილისელი—11,—84,6 პროც. თბილისის გარეთ მცხოვრები მეზობელ რესპუბლიკის—0, რუსეთიდან ჩამოსული —2,15,4 პროც.

წლოვანება.

1—20 წლ.—3,—23 1 პროც. 21—25 წლ.—4,—30,7 პროც. 26—30 წლ.—1, 7,7 პროც. 31—40 წლ.—0, 41—50 წლ. —2,—15,4 პროც. 51—60 წლ.—1,—7,7 პროც. 61—90 წლ.—2,15,4, პროც.

დასკვნა:

ამ დღის განმავლობაში ავათ გახდა სულ 13 კაცი. აქედან გარდაცვლილა 3 კაცი—23,1 პროც. ცენტრალურ უბანში გახდნენ ავათ—4,—30,8 პროც. განაპირა უბანში—1,—7,7 პროც. გამოურკვეველი—8,—61,5 პროც.

ა. რუხაძე.

წარმოებით პროფკავშირებში.

კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კონფერენცია.

ივნისის 24 ს. განახლდა კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კონფერენციის სხდომები.

საბინაო განყოფილების გამგის მოხსენება.

სხდომა დაიწყო საბინაო განყოფილების გამგის ამხ. კალანდარიშვილის მოხსენებით. განაცხადა რა, რომ საბინაო კრიზისი თფილისში დიდი ხანია მომწიფდა და ამ კრიზისის გადატანა გვიხდება ძლიერ მძიმე პირობებში, მომხსენებელი ამბობს საბინაო კრიზისის საჩქაროთ გადაწყვეტის გამო დაიწყო საჩივრები და საყვედურები, საბინაო განყოფილების შესახებ ქმნიან საოცარ ჭორებს. მართალია, მასში თავი შეაფარა ბევრმა მავნე ელემენტებმა, მაგრამ ასე თუ ისე ჩვენ მაინც შევძლეთ ჯარის და დაწესებულებების დაბინავება და შემდეგ პირველ რიგში დავიწყეთ მშრომელთა საბინაო ყოფა ცხოვრების გაუმჯობესება, უმთავრესად იმ პირთა, რომელიც ფიზიკურათ შრომობს. შექმნილი იყო მუშათა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი ცენტრალური კომისია. ყოველმა პროფ. კავშირმა შექმნა თავისი საბინაო სამეული. ეს სამეულები ადგენდნენ იმ მუშათა სიებს, რომლებიც სარდაფებში სცხოვრობდნენ და რომელსაც შემდეგ იხილავდა ცენტრალური კომისია, რომელიც იღებდა და ათავისუფლებდა მუშებისათვის სახლებს. უკანასკნელთა მხრიდანაც იყო საჩივრები, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მუშები საბინაო კრიზისის დროს უფრო მეტ მოთმინებას იჩენდნენ, ვინემ ბურჟუაზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ლი ელემენტები, ზოგი მათგანი ახლამდე ჯერ კიდევ სარდაფებში დარჩნენ, რადგანაც, ბინები ძლიერ ცოტაა და ჩვენი სამუშევარი ისეთი ძნელია, რომ ნახევარათ ვერ გავაუმჯობესებთ მუშათა მდგომარეობას, სარდაფიდან გამოსახლებულთაგან დაკავებულია სრულიათ 11 სახლი, მუშების ჩაუთვლელათ, რომლებიც ჩაასახლეს სხვა და სხვა სახლებში, სადაც ცენტრალურმა კომისიამ მოასწრო ჩაესახლებია 500 ოჯახამდე და რკინის გზის კავშირის განყოფ. საბინაო სამეულმა ჩაასახლა 1000 ოჯახი.

თავდაპირველად ჩვენ მხედველობაში გვქონდა მუშებისათვის 117 სახლი, მაგრამ კომუნისტური პარტიის თფ. კომიტეტის სხდომაზე გადაწყდა ჯერ შევქნათ სახლების მინიმუმი, 50 პროც. და მათში ჩავასახლოთ მუშები, რომლებიც ფიზიკურ სამუშაოს ეწევიან და მათ რიცხვში ზოგიერთი კატეგორია რკინის გზელთა და ტრამვაის მუშებისა. ამ გადაწყვეტილების ასრულება ჩვენ განვიზრახეთ საჩქაროთ 3 კვირის განმავლობაში, ოთახების 5 ათასიან ფონდის შესაქმნელად ენერგიული მუშაობის დაწყებით, და მხოლოდ მე 2 და 3 რაიონში შევქმენით ფონდათ 1000 ოთახზე მეტი და მაშასადამე ყველა 13 რაიონში ჩვენ ერთად ვიშოვით 5000 ოთახს. ეს ოთახები ჩვენ გვინდა იმისათვის, რომ ჩავასახლოთ ისინი, ვისაც გადმოვასახლებთ მუშებისათვის და 50 სახლიდან და საბჭოთა სახლების გასათავისუფლებლათ.

მე დამრჩა სათქმელი მხოლოდ ორიოდე სიტყვა საბინაო განყოფილების მდგომარეობის შესახებ: ყველა ტრიალებს მის კარზე, უჩივიან, რომ რაღაც საშინელება ხდება და, არავინ არ უწევს ანგარიშს იმ მძიმე მუშაობას, რომელსაც იგი ეწევა. ბოლოს მომხსენებელი ლაპარაკობს საბინაო განყოფილების აგენტების მოქმედებაზე და განყოფ. მიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების რაოდენობაზე.

მოხსენების გამო შემოსულ შეკითხვებზე პასუხი.

მოხსენების გათავების შემდეგ ამხ. კალანდარაშვილი უპასუხებს ცალკეულ შეკითხვებზე, რომლებიდანაც საჭიროა შემდეგის აღნიშვნა: 50 სახლიდან 10 ეძლევა რკინის გზელებს, 5 მეღვინეთ, 5—მეთამბაქოეთ, 5—მეჩექმეებს, 6 მეტყავეთ, დანარჩენი სხვა ფიზიკური შრომის მუშაკთ. მიღებულია 50 მილიონი მანეთი სახაზინო მუშების ჩასახლებისა და მოქალაქეთა საბჭოთა სახლებიდან გადასახლებისათვის.

შეკითხვაზე, რამდენად სრულდება პრინციპი, მუშების ბინის წარმოებასთან დაახლოვების შესახებ, მომხსენებელმა უპასუხა დადებითად და დაუმატა, რომ მუშები საბინაო სამეულებს თითონ უთითებენ შესაფერის სახლებზე. საბინაო განყოფილების აგენტების მოქმედებათა წინააღმდეგ, თუ რატომ ასახლებენ აგენტები მუშებს, უპასუხებს მომხსენებელი, რომ მუშების ბინა ხელშეუხებელია და თუ ასახლებენ უკიდურეს შემთხვევაში, მხოლოდ პროფესიონალური კავშირის საშუალებით. ამიტომ თუ არის შემთხვევა მუშათა საბინაო ინტერესების დარღვევის, ცხადია ეს არის შემთხვევა და ასეთის შესახებ უნდა იქნეს განცხადებული საბინაო განყოფილებაში.

შეკითხვაზე, თუ რომელ რაიონში აქვს იმედი საბინაო განყოფილებას 5000 ოთახის შოვნის, მომხსენებელი უპასუხებს, რომ პრაქტიკული მოსაზრების გამო განყოფილება შეუდგა პირველად მე 2 და მე 3 რაიონს, სადაც ცხოვრობდა უფრო ბრწყინვალე ხალხი. შემდეგ მუშაობა გატანილ იქნება სხვა რაიონებში და ბოლოს სარდაფებშიც.

შეკითხვაზე თუ როგორ კმაყოფილდებიან ნესტიან ბინაში მცხოვრებნი, მომხსენებელმა უპასუხა, რომ ეს ბინები იკვლევა განყოფილების მიერ და უკიდურეს შემთხვევაში მოთხოვნილებს ეძლევათ ბინა პირველი რიგში. შეკითხვაზე, ექნებიან თუ არა დაკმაყოფილებული ბინით არა ფიზიკური შრომის პირები, მომხსენებელი უპასუხებს დადებითად, მხოლოდ უთითებს, შემდეგ რიგში მათ დაკმაყოფილებაზე.

შეკითხვაზე, ტარდება თუ არა განყოფილების მიერ მიმდინარე სამუშაოს გარდა, განსაზღვრული საბინაო პოლიტიკა და როგორი, მომხსენებელი უპასუხებს, რომ იმ პირებს, ვინც სასახლეში დაიბადნენ, და მთელი თავისი სიცოცხლე უდიდესი ხელსაყრელი პირობებით სარგებლობდნენ, ჩვენ ვეუბნებით, რომ ახლა ყველა მშრომელი მოქალაქე უნდა სარგებლობდეს თანაბარი უფლებებით ყველა შემთხვევაში და კერძოთ ბინის საკითხშიაც.

ხაშური. 9 ივნისს შესდგა ხაშურის უბნის რკინის-გზელთა კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 33 დელეგატი. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ამხ. გ. მოწონელიძე, მის მოადგილედ ე. ფირცხალავა, მდივნად გ. ბუხნიკაშვილი. კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა მთავრობის თავმჯდომარეს ამხ. ფ. მახარაძეს. ამხ. ბუნტიკოვმა გააკეთა ვრცელი მოხსენება შემდეგ თემაზე: „თანამედროვე პროფკავშირების მნიშვნელობა". შემდეგ მოხდა არჩევნები უბნის პროფკავშირის კომიტეტის, სარევიზიო კომისიის და დელეგატებისა საქართვ. პროფ. კავშირთა კონფერენციაზე. კომიტეტის წევრებად ერთხმად იქმნა არჩეული: მოწონელიძე, გ. ბუხნიკაშვილი, ს. ცხოვრებაშვილი, ა. ქებაძე, ი. ელიაშვილი. კანდიდატებად ე. ძაძამია, ს. ბერაია. სარევიზიო კომისიაში: პ. ნანიტაშვილი, რ. ჩიხჩალეიშვილი, ს. ნოზაძე, კანდიდატებად: ი. ლომაძე, კონს. მიქაშავიძე. დელეგატებად კონფერენციაზე არჩეულ იქმნენ: რ. ჩიხჩალეიშვილი, ვ. ენუქიძე, პ. ნანიტაშვილი, ი. ძაძამია, ს. ცხოვრებაშვილი. კ. მიქაშავიძე.

გ ბ.

პროვინციაში

ს. მოხისი (ზემო ქართლი).

ადგილობრივი რევკომი ძალიან ენერგიულად მუშაობს წინეთ მენშევიკურ მთავრობის დროს ამ სოფლის მცხოვრებლები მთავრობის მიხედვით ხელს უწყობდენ ვაჭრობას, რომელმაც სპეკულაციის ხასიათი მიიღო, რითაც დაჯილდოვდენ რამდენიმე პირნი და ჩაიგდეს მთელი სოფლის მშრომელი ხალხი ხელში თავიანთ ქონებით; მაგრამ ახალმა ხანამ ცხოვრებისამ მოხსნა მას მძიმე უღელი და მასაც შვება, ადგილობრივმა რევკომმა, რომლის თავმჯდომარეთ იმყოფება ამხ. მიხეილ გოჩაშვილი, არ დაზოგა თავისი ძალ ღონე სოფლის საკეთილდღეოდ და საზოგადო საქმისათვის, ვისაც კი გაუვლია სოფ. მოხისში, კარგათ დაუნახამთ, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდა და დღეს კი თაოსნობით რევკომისა შეკეთდა გზები, ხიდები და აშენდა ახლები, გაყვანილ იქმნა ტელეფონი სოფ. მოხისიდან სად. გომამდის. ნება დაერთო აგრეთვე სოფლის პირდაპირ ბაქნის (პლატფორმ ს). და წალიერის გახსნას; დაარსდა სამეურნეო კომუნა № 1, შეძენილია „ტრაქტორი" სალეწი—მანქანა, გუთნები და სხვა. უნდა მოვიხსენიოთ ამხ. ლევან ქურდევანიძე, რომლის დახმარებით იყო შეძენილი ზემო აღნიშნული მანქანები.

სოფლელი.

ქ. ზუგდიდი.

19 ივნისს მოხდა ზუგდიდ-სამურზაყანოს რაიონის კოოპერატივთა კავშირის რწმუნებულთა ყრილობა. კრებას დაესწრო 50 კოოპერატივთა წარმომადგენელი, რიცხვით 100 კაცი. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. აკ. ქვთარაძე. მდივნათ გოიშაშელია. დღიურ წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება მომენტზე.
2. გამგეობის მოხსენება 1920 წლის მოქმედების შესახებ.
3. 1931 ხარჯთ აღრიცხვის განხილვა.
4. მოხსენება ადგილებიდან.
5. გამგეობის არჩევა.

მომენტის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ა. იზორია, რომელმაც დაახასიათა რუსეთის რევოლიუციის ეტაპები და მოსალოდნელი პერსპექტივები. რის შემდეგ მიღებულ იქმნა რეზოლიუცია: მიესალმოს საბჭოთა საქართველოს სოციალისტურ მთავრობას, რომელსაც მშრომელი ხალხი მიყავს სრულ გამარჯვებამდე. ამასთან უტყუარ ფიცს სდებს პირველი დაძახებისთანავე გვერდში ამოუდგეს მთავრობას გარეშე და შინაურ მტერთან ბრძოლაში. გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა მთავრობას. გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას. გაუმარჯოს კომუნიზმს.

მეორე საკითხში გამგეობის თავმჯდომარემ მოხსენების გაკეთებაზე უარი განაცხადა, 1920 წლის მოქმედების შესახებ და აგრეთვე ხარჯთ აღრიცხვის განხილვაზედაც. გამგეობა თავს იმართლებს იმით, რომ „ვითომდა" მას არ ქონდა დრო დაემზადებინა ანგარიში. და მას, როგორც მენშევიკს ხელი შეუშალა ეხლანდელმა გადატრიალებამ, ამ საქმის შესრულებაში. მაგრამ ამხ. აკ. ქვთარაძის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მას (ე. ი. გამგეობას) თებერვლის ოცამდე უნდა წარმოედგინა ანგარიში. და ქვთარაძე ამბობს, რომ გადატრიალებას ხელი არ შეუშლია მათვის, მხოლოდ ეს უნდა მიეწეროს იმ დაუდევრობას და უპასუხისმგებლობას, რომელსაც ყოველთვის ახასიათებდა მენშევიკური პარტიას, სთქვა მოხსენებელმა. ყრილობა თავის ღრმა უკმაყოფილებას უცხადებს გამგეობას ასეთი უმოქმედობისათვის.

შემდეგ იწყება მოხსენებები ადგილებიდან. რწმუნებულ დელეგატების მოხსენებამ დაახურათა ის სამწუხარო და არა სასურველი შედეგები, რომელიც უყურადღებობის გამო ბედმა არგუნა სოფლის კოოპერატივებს.

გამოირკვა, რომ ზუგ. კავშირის გამგეობა არ აქცევდა მათ სათანადო ყურადღებას და არც აძლევდა საქონელს მომხმარებლებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ საწყობში საკმაო საქონელი ქონდათ, და უმთავრესად ნივთებს ანაწილებდნენ კერძო პირებზე და სპეკულიანტებზე. მსჯელობის შემდეგ ყრილობამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა ყრილობამ მოხსენება ადგილებიდან, რომლითაც აშკარად დამტკიცდა, რომ სოფლის კოოპერატივები განადგურებული არის, ყველაფერი ეს მიეწერება გამგეობის უყურადღებობას და პასიობას, ყრილობა ულრმეს უკმაყოფილებას უცხადებს გამგეობას და ფარული კენჭის ყრით აშავებს მას, რის შემდეგ ყრილობა გადადის ახალ გამგეობის არჩევნებზე.

არჩეულ იქნენ: 1) პეტრე მეუნარგია, 2) ანდრი მილცევი, 3) ლეონტი ქებურია, 4) ბიქტორი სარია, 5) ლავრენტი ხონელიძე, კანდიდატებად: 1) გრ. ჩაჩუა, 2) იპ სარია, 3) ბიკ. თორდია.

სარევიზიო კომისიაში: 1) გრ. როგავა, 2) ბიქტორი შონია, 3) გრიშა შელია, 4) ვასილი ქვარაია, 5) იასონი ჯანაშია, კანდიდატებად: მამია თოლორდავა, 2) ბესარიონ შოკირაძე. ზედამხედველ საბჭოში: 1) ერასტო როდონაია, 2) არჩილ გორდავა, 3) აკაკი ქვთარაძე, 4) ბეგი ბერია, 5) პეტრე უგულავა. 6) მახა კაკულია, 7) ა. აზორია.

ახალი გამგეობა უკვე შეუდგა მუშაობას და ჩვენ იმედი გვაქვს იგი შესძლებს იმ განადგურებულ კოოპერატივების აღდგენას.

შორეული.

სოფ. ზანა (სამეგრელო)

10 მაისს სოფ ზანაში შესდგა პირველი უპარტიო ქალთა კრება სამაზრო ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით, რომელსაც მიზნად ქონდა სოფ. ზანაში დაარსება უპარტიო ქალთა წრის. კრებას დაესწრო 65 ქალი. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ამხ. ანტონინა აფაქიძე, მდივნათ ლიზა კვაშილავა.

მოხსენება გააკეთა ამხ. პისტი გვასალიამ და ამხ. ალექსანდრე ოჩიგავამ. პირველი უპარტიო ქალთა კრება დიდი სიხარულით მიეგება ამხანაგების მოხსენებას მათი თავისუფლების შესახებ; ფიცსა სდებენ, რომ ისინი დაიცავენ ქალთა თავისუფლებას და მის მომნიჭებელ კომუნისტურ პარტიას. გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას—გაუმარჯოს ქალთა თავისუფლებას—გაუმარჯოს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას—გაუმარჯოს სოციალიზმს.

ქალთა წრის ხელმძღვანელებათ კრებამ ერთხმად აირჩია შემდეგი ამხანაგები:

1. ანტონინა აფაქიძე, 2) ბაბილინა ტყებუჩავა, 3) ზინობია ტყებუჩავა.

სამაზრო ყრილობაზე ქალთა დელეგატებათ კრების მიერ არჩეულ იქმნენ შემდეგი ამხანაგები:

1. ანტონინა აფაქიძე, 2) ლიზა კვაშილავა.

კრების თავმჯდომარე ანტონინა აფაქიძე.
მდივანი ლიზა კვაშილავა.

ლტოლვა კომუნისტურ პარტიისაკენ

მე, ფოსტა-ტელეგრაფის თანამშრომელი, ბართლომე იოსების ძე მგელაძე, მართალია ვიყავი 8 წელი მენშევიკების პარტიაში წევრად, მაგრამ ეს მიეწერება შეცდომას და გაუგებრობას! ეხლა დავრწმუნდი, რომ მხოლოდ კომუნისტური პარტიაა მუშათა კლასის ინტერესების ერთად ერთი დამცველი, ვუერთდები ამ პარტიას და მზადა ვარ ვემსახურო მას მთელი ჩემი ძალღონით.

ფ.-ტ. თანამშრომელი მგელაძე.

ვინაიდან კომუნისტურ პარტიას სწორი ისტორიული ალღო აქვს აღებული და ერთად ერთი პარტია, რომელიც მტკიცედ სჭედს მშრომელი ხალხის, მუშებისა და გლეხების ბრწყინვალე მომავალს, პროლეტარიატის დიქტატურის გზით, რომლის გარეშე მშრომელ ხალხს სხვა გამოსავალი გზა არა აქვს, ვზიარებ რა ამას, გამოვედი რამოდენიმე თვეა ფედერალისტების მემარცხენე ფრთიდან და გადავედი მოძრავ, ცოცხალ წრეში, კომუნისტურ პარტიაში.

ამბროსი თითბერიძე.

თბილისი, 4 თიბ. 1921 წ.

მე, ყოფილი წევრი მენშევიკური პარტიისა, დავრწმუნდი რა, რუსეთის პროლეტარული რევოლიუციის დიდი გამოცდილებით, რომ ერთად ერთი სწორი, უტყუარი გზა კომუნიზმისკენ არის პროლეტარიატის დიქტატურა და პროლეტარიატის განთავისუფლება დღევანდელი პირობებში არ შეიძლება „დემოკრატიზმის" გზით, რომელსაც ელოდებოდა ისტორიის მიერ უკვე განწირული მენშევიკური პარტია, ვაცხადებ ყველას გასაგონათ, რომ ამიერიდან მე ვტოვებ ამ პარტიას და შევდივარ როგორც გულწრფელი, ერთგული, შეურყეველი, და პასუხისმგებელი წევრი დიად პროლეტარულ-კომუნისტურ (ბოლშევიკების) პარტიაში, რომელსაც ყოველ წუთში მზადა ვარ, შევწირო არა მარტო რევოლიუციონური გამოცდილება და ცოდნა, არამედ ჩემი თავგანწირულებაც უკანასკნელი სისხლის წვეთამდე, ვინაიდან ეს პარტია არის ნამდვილი რევოლიუციონური, რომელიც ემსახურება მუშათა კლასს სიტყვით კი არა, არამედ სჭედს საქმითაც მის ბედ იღბალს, და მით მთელი მომავალი კაცობრიობის ბედნიერებასაც.

ყოფილი წევრი მენშევიკური პარტიის კოწია რატიანი.

სოფ. წყემი, სენაკის მაზრა. 1921 წ. 10 მაისი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა
სტამბებისა, ასოთჩამომსხმელი სახელოსნოებისა და ლიტოგრაფიების ნაციონალიზაციის შესახებ.

1. სახელმწიფოს ყოველგვარი სასტამბო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და სასტამბო საქმის გაერთიანებისა და სათანადოთ დაცვისათვის, საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე არსებული სტამბები, ასოთჩამომსხმელი სახელოსნოები, ლიტოგრაფიები და ყოველ გვარი პოლიგრაფიული წარმოების მოწყობილება, მასალები და ხელსაწყოები, სადაც უნდა იქნეს და ვისაც უნდა ეკუთვნოდეს ისინი, ცხადდება საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის საკუთრებად.

შენიშვნა: ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება კოოპერატივებისა და მათი კავშირების კუთვნილ სტამბებზე და პოლიგრაფიულ სხვა წარმოებაზე.

2. პირველ (1) მუხლში მოხსენებული სტამბებისა, ასოთჩამომსხმელ სახელოსნოებისა, ლიტოგრაფიებისა და პოლიგრაფიული წარმოების ყველა მუშა-მოსამსახურენი უნდა დარჩნენ თავ თავიანთ ადგილზე და ჩაირიცხონ სახელმწიფო სამსახურში დღიდან ამ დეკრეტის გამოქვეყნებისა.

3. ამ დეკრეტის ძალით სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადებული სტამბები, ასოთჩამომსხმელი ქარხნები, ლიტოგრაფიები და პოლიგრაფიული ყოველი წარმოება მათი მოწყობილობით და მასალებით გადაეცემა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რომელსაც ევალება ზემოხსენებულ წარმოებათა მიღებისა და მათი გამგებლობის წესის შემუშავება ცალკე დებულების სახით.

4. პირველ მუხლში აღნიშნული წარმოების დაწესებულებათა ყოფილ პატრონნი ან დროებით მათი მფლობელნი ვალდებულნი არიან, ამ დეკრეტის გამოქვეყნებიდან სამი დღის განმავლობაში. წარადგინონ ქ. თბილისში—სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილებას, ხოლო პროვინციაში—ადგილობრივ სახალხო მეურნეობის საბჭოებს ან ეკონომიურ განყოფილებათ, და სადაც ასეთები არ არსებობს, ადგილობრივ რევკომებს დაწვრილებითი ცნობები სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადებული სტამბების, ასოთჩამომსხმელი ქარხნების და ლიტოგრაფიების მოწყობილობათა და მათს განკარგულებაში არსებული ყოველგვარი საპოლიგრაფიო მასალების შესახებ.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე **მ. ტოროშელიძე.**
რევკომის მდივანი **ბ. გაბრიჩიძე.**
1921 წ. ივნისის 5.
ტფილისი-სასახლე.

ბრძანება

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.
6 ივლისი 1921 წ.
№ 3701.

ყველა დაწესებულებათა და კერძო პირთ, ვისაც აქვს, წინადადება ეძლევათ შვიდი დღის განმავლობაში წარმოადგინონ რეგისტრაციისათვის ადგილობრივ კომუნალურ განყოფილებებში ყველა ზომის ხელით სამუშაო ცეცხლის საქრობი საქაჩოები (насосы) და აგრეთვე კანაფისა თუ რეზინის ცეცხლის საქრობი შლანგები, ყველა ზომისა და სისტემის შემაერთებელი მუხრუჭები (гайки), ბრანდს პოიტები და სხვა საჭირო საგნები საქაჩავისთვის. ქალ. თბილისში რეგისტრაცია მოხდება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალურ მეურნეობის სამმართველოსთან არსებულ რესპუბლიკის ცეცხლიდან დამცველ განყოფილებაში. ის პირნი, რომელნიც ამ ბრძანებას არ შეასრულებენ, მიცემულ იქნებიან პასუხის გებაში.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ბ. კვირკველია.**

კომუნალურ მეურნეობის მთავარი გამგე **სიდამონიშვილი.**

რესპუბლიკის ცეცხლის მქრობელი რაზმის ინსპექტორი **ბერიძე.**

შრომის დაცვის და სოციალურ დაზღვევის ქვეგანყოფილებებსა და რაიონულ შრომის ინსპექტორებს. საავადმყოფო კასების გამგეობის არჩევნების დროებითი

ინსტრუქცია.

1. თანახმად შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებისა, საავადმყოფო კასის გამგეობის არჩევნები უნდა მოხდეს წარმოებების და დაწესებულებების შრომის დაცვის კომისიების საერთო კრებაზე.

2. იქ, სადაც სრულიად არ არის ცხოვრებაში გატარებული შრომის დაცვის კომისიების არჩევნები, საავადმყოფო კასის გამგეობა უნდა არჩეულ იქმნას დროებით, რწმუნებულების საერთო კრებაზე, თუ მათი არჩევნები დამთავრებულია.

შენიშვნა: ერთი რწმუნებული 50 მუშა მოსამსახურეზე.

3. სადაც ტეხნიკურად მოსახერხებელია ყველა ადგილობრივი წარმოების და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების მოწყობა, საავადმყოფო კასის გამგეობა უნდა არჩეულ იქმნას ხსენებულ კრებაზე.

შრომის დაცვის და სოციალურ დაზღვევის განყოფილების გამგის თანაშემწე,
ს. გოდაბრელიძე.

[illegible] ველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის [illegible] რუსთაველის პრ., 23. ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—[illegible] ლის ქ. 126, [illegible] ტელ. 1—33.

— მე-2-ე რაიონის ბიურო—[illegible] ლის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-ე რაიონის ბიურო—[illegible] ბარი, კახეთის მოედანი. 5—53

— მე-4-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. [illegible]

მე-5-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ [illegible] რუსთაველის პრ. 12

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

პარტიული

მე 4 რაიკომის პრეზიდიუმი აცნობებს მე 4 რაიონის პარტიის წევრებს და კანდიდატებს, რომ დღეს, 8 ივლისს. საღამოს 6 საათზე არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში შესდგება კრება მე 4 რაიონის ყველა წევრების და კანდიდატებისა.

დღის წესრიგი: 1. ამხ. რაბინოვიჩის მოხსენება: „კოოპერაციის როლი საბჭოთა რესპუბლიკების თანამედროვე მეურნეობაში". 2. ახალ შემოსულ ამხანაგების დამტკიცება. 3. მიმდინარე საქმეები. ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

სხვა და სხვა

— დაიკარგა მოწმობა № 1996 ვასილ იოსების ძე მიკირტუმოვის სახელზე, გაცემული გორის საქალაქო მილიციის სამმართველოდან.

თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოების გამგეობა

კვირას 10 ივლისს დილის 10 საათზედ პირველ გიმნაზიის დარბაზში იწვევს საზოგადო კრებას განსახილველია მნიშვნელოვანი საკითხები, საჭიროა ყველა წევრების დასწრება.

გამგეობა.

თბილისის სახალხო განათლების განყოფილება

იწვევს სპეციალისტებს საბავშვო სახლების, ახალშენების, ბავშვთა ბაღების და მოედნების ორგანიზაციისათვის. საჭიროა აგრეთვე ექიმები, მხატვარ-აღმზრდელნი, პედაგოგები ზნეობრივ ნაკლიან ბავშვთათვის; გამოცდილი გამგენი მეურნეობისა ბავშვთა სახლებში, გამოცდილი გამგე სახელოსნოებისა, ბავშვთათვის ხელოსნობის შესასწავლათ (მებაღეობისა, დურგლობისა და თერძობისა).

ძლიერ საჭიროა ხალხი, რომელთაც იციან საბავშვო საქმეები და აქვთ მიდრეკილება ამ პროფესიისადმი.

მისამართი: განოვის ქ № 3

სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიცია

ამით აცხადებს, რომ ამა ივლისის 11 დღის 12 საათისათვის დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ბონების საბეჭდ ქაღალდის ჩამონაჭრებისა, რომელიც გამოსადეგია ხილის ჩასაფენ გამოსახვევად.

მთავარ პოლიტიკურ განათლების მმართველობა

წინადადებას აძლევს [illegible] გამოგზავნონ [illegible] სამმართველოში (ლორის მელიქოვის ქ. № 5) ერთ კვირის გამოფენაში. სამხედრო ნაწილებთ [illegible] და გვაცნობონ სად და [illegible] აქვთ.

ჟურნალი „ლახვარი"

ახლო მომავალში გამოვა სალიტერატურო და იუმორისტული ჟურნალი „ლახვარი".

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ განათლების სამმართველოს [illegible] განყოფილებაში (ლორის—მელიქოვის ქ. № 5).

ტირაჟი 10,000

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა [illegible] ქ. № 4